სარჩევი

შესავალი 1

1. კანონმდებლობაში შესული ცვლილებები 1

2. მაუწყებლობის შინაარსობრივი მოთხოვნების განმარტების პრინციპები 2

3. პროგრამის სახეების განმარტება 4

3.1. ახალი ამბების პროგრამა 4

3.2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა 5

3.3. საავტორო პროგრამა 5

4. ჯეროვანი სიზუსტის პრინციპი 5

4.1. საკანონმდებლო რეგულირება 5

4.2. ვალდებულებები გადაცემული ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად 6

4.3. მაუწყებლის ვალდებულებები გავრცელებული ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირებით 8

4.4. მაუწყებლის ვალდებულებები ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით 9

4.5. მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების გასწორება 10

4.6. დადგმების, ინსცენირებისა და რეკონსტრუქციების გამოყენება 11

5. პასუხის უფლება 12

5.1. საკანონმდებლო რეგულირება 12

5.2. პასუხის უფლების წინაპირობები 13

6. მიუკერძოებლობის პრინციპი 15

6.1. საკანონმდებლო რეგულირება 15

6.2. მაუწყებლის მოსაზრების გამოხატვის შეზღუდვა 16

6.3. ბალანსის დაცვა 18

6.4. საავტორო პროგრამის ეთერში განთავსების წესი 20

6.5. ფაქტის და მოსაზრების გამიჯვნა 21

6.6. ახალი ამბებისა და საინფორმაციო პროგრამებში პოლიტიკოსის მონაწილეობის აკრძალვა 24

7. სამართლიანობის პრინციპი 25

7.1. საკანონმდებლო რეგულირება 25

7.2. ინფორმირებული თანხმობა პროგრამაში მონაწილეობაზე 26

7.3. სამართლიანობის პრინციპის მოთხოვნები მასალის რედაქტირებასთან და ხელახლა გამოყენებასთან დაკავშირებით და მონაწილისთვის მიცემულ პირობასთან დაკავშირებით 28

7.4. პროგრამაში გამოთქმულ ბრალდებებზე პასუხის გაცემის უფლება 28

8. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 29

8.1. საკანონმდებლო რეგულირება 30

8.2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის სტანდარტი - საზოგადოების კანონიერი ინტერესი და თანაზომიერების პრინციპი 32

8.3. კერძო და საჯარო დაწესებულებების ტერიტორიაზე მასალის გადაღების/გადაცემის წესი .33

8.4. უბედური შემთხვევით დაზარალებული პირების შესახებ მასალის გადაღებისა და გავრცელების წესი 34

8.5. ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება ან/და გადაცემა 35

9. შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის ან/და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქების წესი 37

9.1. საკანონმდებლო რეგულირება 37

9.2. სტანდარტები 37

10. მაუწყებლის პასუხისმგებლობა ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელებისთვის 38

11. შინაარსობრივი მოთხოვნების აღსრულების წესი 38

გზამკვლევი მაუწყებლობის შინაარსობრივი მოთხოვნების თაობაზე - სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, ჯეროვანი სიზუსტე, პასუხის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, საგანგებო ვითარების გაშუქება

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია, უზრუნველყოს მაუწყებლებისათვის შინაარსობრივ მოთხოვნებთან დაკავშირებული საკითხების უფრო მეტად განჭვრეტადობა და მარტივად აღქმის შესაძლებლობა. დოკუმენტს საინფორმაციო-სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, ემსახურება კანონმდებლობის განმარტების თაობაზე მედიამომსახურებების სფეროს მარეგულირებელი ორგანოს ხედვის ილუსტრირებას და არ აქვს მბოჭავი, სავალდებულო იურიდიული ძალა.

გზამკვლევში მიმოხილულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები მაუწყებლობის შინაარსობრივ მოთხოვნებთან დაკავშირებით, კერძოდ კი - ჯეროვანი სიზუსტის პრინციპი, პასუხის უფლება, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, საგანგებო მდგომარეობის გაშუქების სტანდარტები და მათი აღსრულების მექანიზმები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - კომისია) იმედოვნებს, რომ გზამკვლევი დაეხმარება მაუწყებლებს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულებაში.

1. კანონმდებლობაში შესული ცვლილებები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2025 წლის 1 აპრილის კანონით (დოკუმენტის N394-IIმს-XIმპ) შესული ცვლილებით ახლებურად მოწესრიგდა მაუწყებლობის მიმართ წაყენებული შინაარსობრივი მოთხოვნები და მათი აღსრულების წესი. კერძოდ, კანონში შესული ცვლილებებით ახლებურად მოწესრიგდა ფაქტის ჯეროვანი სიზუსტე და პასუხის უფლება, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მაუწყებლის მიერ ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება ან/და გადაცემა, შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის ან/და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქება, პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანი პირის დაცვის ცალკეული საკითხები. კანონში ცვლილების შეტანამდე დასახელებული შინაარსობრივი მოთხოვნების ნაწილი (მაგალითად, შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის ან/და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქების მოწესრიგება) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით არ რეგულირდებოდა და კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ იყო განსაზღვრული. ამასთან, შინაარსობრივი მოთხოვნების

დამდგენი დებულებების ნაწილი (მაგალითად, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით იყო გათვალისწინებული, თუმცა, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსისგან“ განსხვავებული, ნაკლებად დეტალური მოწესრიგებით გამოირჩეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით ჩამოყალიბებული შინაარსობრივი მოთხოვნები არსებითად ემთხვევა კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ გათვალისწინებულ შესაბამის დებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უშუალოდ მოთხოვნების მატერიალური შინაარსის თვალსაზრისით მაუწყებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის 2025 წლის 1 აპრილის კანონით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები სიახლე არ ყოფილა.

მაუწყებლობის შინაარსობრივი მოთხოვნების ახლებურად დაწესების გარდა, 2025 წლის 1 აპრილის კანონით დადგინდა ამ მოთხოვნების აღსრულების ახალი წესი. კერძოდ, 2025 წლის 1 აპრილის კანონის ძალაში შესვლამდე შინაარსობრივი მოთხოვნების დიდი ნაწილი აღსრულდებოდა მხოლოდ მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ და მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილების სასამართლოში, კომისიაში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება არ დაიშვებოდა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2025 წლის 1 აპრილს შესული ცვლილებების გათვალისწინებით ახლებურად ჩამოყალიბდა კანონის მე-14 და 59[1] მუხლები და დადგინდა, რომ კომისიას აქვს სამართლებრივი რეაგირების უფლებამოსილება ისეთი შინაარსობრივი მოთხოვნების დარღვევის საკითხებზე, როგორებიც არის ფაქტის ჯეროვანი სიზუსტე და პასუხის უფლება, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მაუწყებლის მიერ ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება ან/და გადაცემა, შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის ან/და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქება, პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანი პირის დაცვის ცალკეული საკითხები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წლის 1 აპრილის კანონით დადგინდა მაუწყებლებისათვის კარგად ცნობილი, კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული წესების კომისიის მიერ აღსრულების წესი. წინამდებარე გზამკვლევი ემსახურება დასახელებული საკანონმდებლო ცვლილებებით ჩამოყალიბებული, ცალკეული შინაარსობრივი მოთხოვნების შესახებ კომისიის ხედვის ილუსტრირებას.

2. მაუწყებლობის შინაარსობრივი მოთხოვნების განმარტების პრინციპები

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროებში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ეს კანონი, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი - მაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოსთვის იურიდიული ძალის მქონე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით კი - მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდეები“, რომლებიც სასურველად არის მიღებული ან აღიქმება როგორც უწყინარი და ინდიფერენტული, არამედ - ისეთებიც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შემაწუხებელი და შოკისმომგვრელია სახელმწიფოსთვის ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილისთვის.[1] ამასთან, კონვენციის მე-10 მუხლი და სასამართლო პრაქტიკა არ გამორიცხავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, როდესაც ილახება სხვა ადამიანის უფლებები და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოებისა და ინდივიდების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, აზრის ფორმირების ერთ-ერთი ცენტრალური, ფართომასშტაბიანი და ეფექტური პლატფორმაა. სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შეუფერხებელი, ავტონომიური, ჯეროვანი და დამოუკიდებელი საქმიანობა განაპირობებს საზოგადოებისა და თითოეული ინდივიდის მიერ აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკულ და ეფექტურ რეალიზაციას.[2] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ისეთ სენსიტიურ სექტორში, როგორიც არის აუდიოვიზუალური მედია, ჩაურევლობის ნეგატიურ მოვალეობასთან ერთად, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ პლურალიზმს.[3]

---

[1] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, საჩივარი No. 5493/72, § 49

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-71,72, ასევე იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-58

[3] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ცენტრო ევროპა 7 ს.რ.ლ. და დი შტეფანო იტალიის წინააღმდეგ” [GC] - საჩივარი No. 38433/09, § 134.

სტრასბურგის სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მაუწყებლების გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია ლეგიტიმურად შეიზღუდოს, როდესაც ეს აუცილებელია სხვათა უფლებებისა და ინფორმაციის პლურალიზმის დასაცავად, აგრეთვე გავლენიან მედია პლატფორმებზე სამართლიანი და თანასწორი დემოკრატიული დისკურსის უზრუნველსაყოფად.[4]

ამავდროულად, სამაუწყებლო მედიას დემოკრატიულ საზოგადოებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. დიდია მაუწყებლების როლი საზოგადოების ინფორმირებისა და საჯარო მმართველობის პროცესზე მეთვალყურის ("watchdog") ფუნქციის შესრულებაში.[5] სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სამაუწყებლო მედიას შეეძლოს გამოიკვლიოს და გააშუქოს ნებისმიერი საკამათო საკითხი, ასევე საზოგადოების წევრებს მისცეს შესაძლებლობა, გამოხატონ კრიტიკული მოსაზრებები საზოგადოებისთვის მნიშნელოვან ამა თუ იმ საკითხზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სამაუწყებლო მედიამ დაიცვას მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და სიზუსტის პრინციპები და აუდიტორიას მისცეს საშუალება, მაუწყებლობის მეშვეობით მიიღოს ზუსტი და მიუკერძოებელი ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაუწყებლობის შინაარსობრივი მოთხოვნების განმარტებისა და გამოყენებისას კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაითვალისწინებს მაუწყებლისა და აუდიტორიის გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესს, რომ მაუწყებელს ჰქონდეს ლეგიტიმური შესაძლებლობა, შეასრულოს საზოგადოებრივი მეთვალყურის ფუნქცია და მწვავედ, კრიტიკულად გააშუქოს ნებისმიერი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა და მოსაზრება. მეორე მხრივ, ყურადსაღებია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი, რომ სამაუწყებლო მედიამ დაიცვას პროგრამაში მონაწილე პირებისა და აუდიტორიის უფლებები და ხელი შეუწყოს ინფორმირებულ დემოკრატიულ დებატს, ასევე მხედველობაში მიიღება სხვა ლეგიტიმური კერძო და საჯარო ინტერესები, როგორიც არის, მაგალითად, ადამიანის პირადი ცხოვრებისა და რეპუტაციის დაცვის ინტერესი.

3. პროგრამის სახეების განმარტება

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ცალკეულ შინაარსობრივი მოთხოვნა უკავშირდება კონკრეტულ ტერმინებს და სპეციფიკურ პროგრამებს. შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შინაარსობრივი მოთხოვნების სწორად განმარტებისა და იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია კანონის ტერმინების შინაარსის განსაზღვრა.

3.1. ახალი ამბების პროგრამა

ახალი ამბების პროგრამის არსებობას კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს პროგრამის დასახელების, ფორმატის, საგნის, ფორმის, აუდიტორიისთვის წარდგენის გზებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ახალი ამბების პროგრამად, როგორც წესი, ფასდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

---

[4] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ANIMAL DEFENDERS INTERNATIONAL გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" [GC] - საჩივარი No 48876/08, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სიგმა რადიო ტელევიზია კვიპროსის წინააღმდეგ", საჩივრები No. 32181/04 და 35122/05

[5] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდი პალატის 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „იერსილდი დ Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France ჩანიის წინააღმდეგ", საჩივარი No. 1589/89,

- ახალი ამბების პროგრამა ფაქტობრივია და პროგრამის მასალა ეხება მიმდინარე ან პროგრამის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მომხდარ მოვლენებს ან ინფორმაციას;
- ახალი ამბების პროგრამა, როგორც წესი, სტუდიაში მიჰყავთ წამყვანს ან წამყვანებს, რომლებიც აჯამებენ და აუდიტორიას უშუალოდ აწვდიან ყოველდღიურ ინფორმაციას;
- სტუდიაში შესაძლებელია იყოს ეკრანები გრაფიკული გამოსახულებით, რომელიც შემატებს კონტექსტს ან სხვა ინფორმაციას ახალი ამბის პროგრამის მასალას;
- ახალი ამბები თანმიმდევრულად, როგორც წესი, წინასწარი განსაზღვრული თანმიმდევრობის მიხედვით მიეწოდება აუდიტორიას და გამოირჩევა მოკლე ფორმატით;
- ახალი ამბების წარდგენისას ფართოდ გამოიყენება რეპორტიორები და კორესპონდენტები, რომ სიუჟეტებით ან პირდაპირი ეთერის რეჟიმში წარმოადგინონ ახალი ამბები და ა.შ.

3.2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამებს განეკუთვნება პროგრამა, რომელიც შეიცავს მიმდინარე მოვლენებისა და საკითხების ახსნას ან ანალიზს, მათ შორის, მასალებს, რომლებიც შეეხება პოლიტიკურ ან ინდუსტრიულ დებატებს ან მიმდინარე საჯარო პოლიტიკას. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა ახალი ამბების პროგრამისგან განსხვავებით, როგორც წესი, უფრო ხანგრძლივია, შეიცავს დეტალურ დისკუსიებს, ანალიზს და ინტერვიუებს და ხანგრძლივ რეპორტაჟებს.

3.3. საავტორო პროგრამა

საავტორო პროგრამებს განეკუთვნება პროგრამა, რომელიც წარმოადგენს რომელიმე კონკრეტულ შეხედულებას ან პერსპექტივას. საავტორო პროგრამაში, შესაძლებელია გადმოცემული იყოს ჟურნალისტის, კომენტატორის,იმ პირის, რომელსაც აქვს პროფესიული ექსპერტიზა ან სპეციალიზაცია რომელიმე მიმართულებით ან საზოგადოების სხვა წარმომადგენლის საავტორო პოზიცია.

4. ჯეროვანი სიზუსტის პრინციპი

2025 წლის 1 აპრილის კანონის შესაბამისად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით კომისიის მიერ აღსრულებას დაექვემდებარა ისეთი შინაარსობრივი მოთხოვნა, როგორიც არის ჯეროვანი სიზუსტე. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მაუწყებელი ვალდებულია ახალი ამბები და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია გადასცეს ჯეროვანი სიზუსტით. ჯეროვანი სიზუსტე მაუწყებლობის და ზოგადად მედიის საქმიანობის უმთავრესი პრინციპია და პირდაპირ უკავშირდება მედიის დანიშნულებას - საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი, სათანადოდ გადამოწმებული ინფორმაცია. აღნიშნული პრინციპის მიზანია, აუდიტორიას ჰქონდეს ნდობა, რომ მაუწყებელი ახალ ამბებსა და ფაქტობრივ ინფორმაციას გადასცემს სათანადო სიზუსტით. ეს ნდობა მაუწყებლისა და აუდიტორიის ურთიერთობის ქვაკუთხედია. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი ითვალისწინებს ვალდებულებებს და სტანდარტებს, რომელთა დაცვაც მაუწყებელს მოეთხოვება ჯეროვანი სიზუსტის პრინციპის უზრუნველსაყოფად.

4.1. საკანონმდებლო რეგულირება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი, პირველი-მე-6 პუნქტები:

მუხლი 52. ფაქტის ჯეროვანი სიზუსტე და პასუხის უფლება

1. მაუწყებელი ვალდებულია ახალი ამბები და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია გადასცეს ჯეროვანი სიზუსტით და მიუკერძოებლად.

2. მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება.

3. მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების შესწორება უნდა მოხდეს ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს, მას შემდეგ, რაც მაუწყებლისთვის ცნობილი გახდება შეცდომის შესახებ.

4. სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებისას მაუწყებელმა უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო.

5. დაუშვებელია ახალ ამბებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში დადგმებისა და ინსცენირების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნათლად არის განმარტებული, რომ ეს არის დადგმა ან ინსცენირება. დოკუმენტური ან რეალური ფაქტების ყოველი სამაუწყებლო რეკონსტრუქცია უნდა იყოს ნათლად მითითებული.

6. მაუწყებელმა უნდა მოახდინოს ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება. ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გაშუქების შემთხვევაში მაუწყებელმა ნათლად უნდა მიუთითოს წყაროს ანონიმურობის შესახებ.

4.2. ვალდებულებები გადაცემული ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად

როგორც აღინიშნა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს მაუწყებლის ვალდებულებაზე, რომ ახალი ამბები და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია გადასცეს ჯეროვანი სიზუსტით. დასახელებული საკანონმდებლო დებულება მიუთითებს „ახალ ამბებსა“ და „ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციაზე“. შესაბამისად, ჯეროვანი სიზუსტით გადაცემის მოთხოვნა ვრცელდება ნებისმიერ სამაუწყებლო პროგრამაზე, რომლითაც გადმოიცემა ახალი ამბები მიმდინარე მოვლენების შესახებ ან ფაქტებზე დაფუძნებული ნებისმიერი ინფორმაცია. ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია ინფორმაციის ფართო სპექტრს მოიცავს და შესაძლებელია, გულისხმობდეს არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ - ისტორიული მოვლენების შესახებ მონაცემებს. ამავდროულად, „ახალი ამბები“ და „ფაქტებზე დაფუძნებული“ გულისხმობს ფაქტობრივი მონაცემების, ფაქტების გაშუქებას და არ მოიცავს მოსაზრებებსა და შეფასებებს, რომელთა სიზუსტის უზრუნველყოფა შეუძლებელია.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება. შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია, ზუსტად მიაწოდოს საზოგადოებას ფაქტობრივი ინფორმაცია. ამასთან, ჯეროვანი სიზუსტის მოთხოვნა არ გულისხმობს მაუწყებლის ვალდებულებას, რომ მის მიერ გადაცემული ფაქტობრივი ინფორმაცია ყოველთვის აბსოლუტურად ზუსტი იყოს. ამგვარი სტანდარტის პირობებში განსაკუთრებულად გართულდებოდა საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე ან წარსულში მომხდარი მოვლენების შესახებ. ისეთ შემთხვევაში, როდესაც რთულია ამა თუ იმ ფაქტობრივი მონაცემის სიზუსტის უზრუნველყოფა,

მაუწყებლის ვალდებულება გულისხმობს არა გადაცემული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში 100%-ით დარწმუნებას, არამედ - ინფორმაციის გადამოწმების მიზნით სათანადო ზომების მიღებას და გონივრული ძალისხმევის გაწევას.[6] ამავდროულად, თუ მაუწყებელი ვერ ახერხებს ამა თუ იმ ფაქტობრივი ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველყოფას, მნიშვნელოვანია, ამის თაობაზე სათანადოდ მოახდინოს აუდიტორიის ინფორმირება.

მაუწყებელი ვალდებულია, გასწიოს სათანადო ძალისხმევა გადაცემული ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ახალი ამბებისა და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად მაუწყებლის გაწეული ძალისხმევა უნდა იყოს „ჯეროვანი“ და შეესატყვისებოდეს გაშუქებული საკითხის ბუნებას, პროგრამისა და მაუწყებლის კატეგორიას, მასალის მიმართ აუდიტორიის მოლოდინს და ინფორმირების დონეს. მაგალითად, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების გაშუქებისას განსაკუთრებით მაღალია აუდიტორიის სათანადოდ ინფორმირების საჭიროება და შესაბამისად, მკაცრია ჯეროვანი სიზუსტის მოთხოვნები. ასევე, ყურადღება მიექცევა პროგრამის ფორმატსა და შინაარსს. ჯეროვანი სიზუსტის მოთხოვნები ვრცელდება როგორც ჩანაწერის მეშვეობით, ისე - პირდაპირ ეთერში განთავსებულ მასალაზე. ამასთან, კომისია ასევე გაითვალისწინებს იმ ტექნიკურ სირთულეებს, რაც, შესაძლებელია თან ახლდეს დინამიკური მოვლენების მიმდინარე რეჟიმში, პირდაპირ ეთერში გაშუქებას.

ცალკეულ შემთხვევებში მაუწყებლის მიერ გადაცემული ახალი ამბებისა და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველყოფა მოითხოვს შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლას, კერძო და საჯარო დაწესებულებებიდან, პირებისგან ინფორმაციის მიღებას. ამ კონტექსტში მაუწყებლის მიერ ჯეროვანი სიზუსტის პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება შეფასდება უშუალოდ მაუწყებლის გაწეული ძალისხმევის ნაწილში და მაუწყებელს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მან გასწია ინფორმაციის გადასამოწმებლად სათანადო ძალისხმევა, მაგრამ გადამოწმება ვერ შეძლო იმის გამო, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ მიიღო ინფორმაცია ან დოკუმენტაცია რომელიმე კერძო ან საჯარო დაწესებულებიდან ან პირისგან. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია აუდიტორიის ინფორმირება, იმის შესახებ, რომ მაუწყებელმა სათანადოდ ვერ უზრუნველჰყო ინფორმაციის გადამოწმება.

გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, მაუწყებლობის შინაარსობრივი მოთხოვნების განმარტებისას მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად, მხედველობაში მიიღება სხვათა უფლებებიც. მაუწყებლების მიერ ახალი ამბებისა და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის გავრცელების მიმართ დადგენილი სტანდარტის შეფასების კონტექსტში მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული ადამიანის რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმური ინტერესიც. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით გარანტირებულია ყველა ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება. პირადი ცხოვრება სხვა კომპონენტებთან ერთად მოიცავს ადამიანის რეპუტაციის დაცვის უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, რეპუტაციაზე თავდასხმა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პირადი ცხოვრების უფლების რეალიზაციას, განიხილება კონვენციით გარანტირებული პირადი ცხოვრების უფლების

[6] იხ. კომისიის 2025 წლის 17 ივლისის N გ-25-16 / 392 გადაწყვეტილება „ა(ა)იპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ წინააღმდეგ მოქალაქე ლევან მამფორიას საჩივრის განხილვის შესახებ"

შეზღუდვად.[7] ამასთან, განსხვავებული სტანდარტი შეიძლება იყოს ისეთი პირების მიმართ, რომელთა საქმიანობაც საზოგადოებრივი ყურადღების საგანია. კერძო პირებისაგან განსხვავებით პოლიტიკოსების მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები გაცილებით ფართოა. პოლიტიკოსები გარდაუვლად და გაცნობიერებულად აქცევენ საკუთარ ცხოვრებას საზოგადოებისა და ჟურნალისტების ყურადღების ქვეშ, რის შედეგადაც მათ კრიტიკის მიმართ მეტი ტოლერანტობის ვალდებულება აქვთ.[8] ამრიგად, მაუწყებელი გულისხმიერებით უნდა მოეკიდოს ისეთი ფაქტობრივი ინფორმაციის გავრცელებას, რომელმაც, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ადამიანის პირად ცხოვრებასა და რეპუტაციაზე. ცხადია, პირადი ცხოვრებისა და რეპუტაციის კონტექსტში მხედველობაში მიიღება ამა თუ იმ ადამიანის სტატუსისა და საჯაროობის გათვალისწინებით მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი.

ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად მაუწყებლის გაწეული ძალისხმევის ადეკვატურობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს. გადაცემული ინფორმაციის ბუნების გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს, რამდენად ადეკვატური იყო მაუწყებლის ძალისხმევა, გადამოწმდა თუ არა ინფორმაცია სათანადოდ ეთერში განთავსებამდე, იყო თუ არა ინფორმაციის წყარო სწორად იდენტიფიცირებული და შეესაბამებოდა თუ არა გავრცელებული ფაქტობრივი მონაცემები მაუწყებლის ხელთ არსებულ წყაროებსა და მტკიცებულებებს. მიზანშეწონილია, მაუწყებელს ჰქონდეს შიდა ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, მაუწყებლისა და მისი პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, კანონმდებლობის და კომისიის პრაქტიკის შესაბამისად, განისაზღვრება ამა თუ იმ ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმების სტანდარტი და ეთერში განთავსებამდე განსახორციელებელი ღონისძიებები.

4.3. მაუწყებლის ვალდებულებები გავრცელებული ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირებით

როგორც აღინიშნა, გადაცემული ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველყოფისას ცენტრალური ადგილი უჭირავს ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმებას წყაროსთან და მაუწყებლის ხელთ არსებულ მტკიცებულებებთან მიმართებით. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებებს ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირებით. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებისას მაუწყებელმა უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო. შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია ნებისმიერი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებისას ეთერში მკაფიო მითითება გააკეთოს იმ წყაროზე (ან წყაროებზე), საიდანაც აქვს მიღებული შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური ინფორმაციის ეთერში განთავსებისას ასევე მაუწყებლის ეთერში უნდა მოხდეს წყაროს შესახებ მითითება. მაუწყებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულებად ვერ ჩაითვლება ინფორმაციის წყაროს მითითება მაუწყებლის ვებგვერდზე.

---

[7] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე Bédat v. Switzerland [GC], no. 56925/08, §§ 72-73; ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება Axel Springer AG v. Germany [GC], no. 39954/08, § 83

[8] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France, [GC], no. 40454/07, § 121, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე Lingens v. Austria, no. 9815/82, § 42, Incal v. Turkey, no 22678/93, § 54

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, მაუწყებელმა უნდა მოახდინოს ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება. დასახელებული საკანონმდებლო დებულება პირდაპირ კავშირშია მაუწყებლის ზოგად ვალდებულებასთან, რომ გადაამოწმოს ეთერში განთავსებული ინფორმაციის სისწორე და ზუსტად ჰქონდეს განსაზღვრული რომელი ფაქტობრივი მონაცემი რომელი წყაროსა და მტკიცებულებიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში წყაროს იდენტიფიცირების მოთხოვნა არ გულისხმობს მაუწყებლის მიერ წყაროს ეთერში აღნიშვნის ვალდებულებას. აღნიშნული ნორმის მიზანია, მაუწყებელმა თავად უზრუნველყოს თითოეული ფაქტობრივი მონაცემის წყაროს იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ფაქტობრივი მონაცემი რომელ წყაროზე (ან წყაროებზე) დაყრდნობით გაავრცელა. ამასთან, ეს უკანასკნელი არ გულისხმობს კონფიდენციალური წყაროს გამხელის ვალდებულებას.

4.4. მაუწყებლის ვალდებულებები ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით

კანონმდებლობა ჯეროვანი სიზუსტის განსაკუთრებულ მოთხოვნებს ითვალისწინებს ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გაშუქებასთან დაკავშირებით. ზოგადად, წყაროს ანონიმურობა და ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გაშუქება მნიშვნელოვანი მედიასტანდარტია. აღიარებულია, რომ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელება მნიშვნელოვანია და, შესაძლებელია, აუცილებელიც იყოს საზოგადოებრივ ინტერესს მიკუთვნებულ საკითხების გასაშუქებლად. ჟურნალისტური წყაროს ანონიმურობის დაცვა პრესის თავისუფლების ერთ-ერთი არსებითი წინაპირობაა. ანონიმურობის დაცვის გარეშე წყარომ, შესაძლოა, თავი შეიკავოს მედიასთან თანამშრომლობისაგან და მედიამ ვერ შეძლოს საზოგადოების ინფორმირება საჯარო ინტერესის საკითხებზე და ვერ შეასრულოს საზოგადოებრივი მეთვალყურის (watchdog) ფუნქცია.[9]

ამავდროულად, ანონიმურობის გათვალისწინებით, შეუძლებელი ან განსაკუთრებულად რთული ხდება დაინტერესებული სუბიექტების მიერ წყაროს და ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება. შესაბამისად, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელებისას იზრდება შეცდომის დაშვების, არაზუსტი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელების რისკი. მაუწყებელი ვალდებულია ფრთხილად მოეკიდოს ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელებას, ეცადოს, რომ ინფორმაცია არ გაავრცელოს მხოლოდ ერთ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით და გადაამოწმოს სხვა შესაძლო ანონიმური ან არაანონიმური წყაროების გამოყენებით. ცხადია, შესაძლებელია, არსებობდეს შემთხვევები, როდესაც მაუწყებელმა მხოლოდ ერთ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობითაც გაავრცელოს ინფორმაცია, თუმცა ეს უნდა იყოს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და სხვაგვარად ამ ინფორმაციის გადამოწმება არ არის შესაძლებელი.

გარდა ამისა, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელებისას აუდიტორიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ თავად განსაჯოს, ენდობა თუ არა და რა ხარისხით ენდობა ანონიმურ

[9] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდი პალატის 1996 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (საჩივარი No. 17488/90), ასევე იხ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2017 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ბეკერი ნორვეგიის წინააღმდეგ (საჩივარი No. 21272/12)

წყაროზე დაყრდნობით გავრცელებულ ინფორმაციას. ამის შესაძლებლობა აუდიტორიას აქვს მაშინ, როდესაც მისთვის ცნობილია წყაროს ანონიმურობის შესახებ.

ამრიგად, მაუწყებელს უფლება აქვს, ესა თუ ის მოვლენა გააშუქოს ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, თუმცა, უნდა დაიცვას აუდიტორიის ინტერესები და (ა) არ გააშუქოს ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაცია, როგორც ფაქტი და (ბ) მკაფიოდ განმარტოს, რომ ინფორმაცია მიღებულია ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით. მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი, რომ, ერთი მხრივ, მაუწყებელს ჰქონდეს საშუალება, ინფორმაცია გაავრცელოს ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით და დაიცვას ჟურნალისტური წყაროს ანონიმურობა და, მეორე მხრივ, აუდიტორიას მიეცეს ადეკვატური შესაძლებლობა, თავად შეაფასოს ამ ფორმით გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა.[10]

4.5. მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების გასწორება

პრაქტიკაში არ გამოირიცხება შემთხვევები, როდესაც მაუწყებლის მიერ ვრცელდება არასწორი ინფორმაცია და გარკვეული მიზეზით მაუწყებელი ეთერში ათავსებს ფაქტობრივი შეცდომის შემცველ ინფორმაციას. ასეთ შემთხვევაში აუდიტორიის სწორად ინფორმირებისა და მაუწყებელსა და აუდიტორიას შორის ნდობისთვის აუცილებელია მაუწყებელმა ღიად მიუთითოს ფაქტობრივი შეცდომის შესახებ და საზოგადოებას მიაწოდოს სწორი ინფორმაცია. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების შესწორება უნდა მოხდეს ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს, მას შემდეგ, რაც მაუწყებლისთვის ცნობილი გახდება შეცდომის შესახებ.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს „მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომის“ შესწორების ვალდებულებაზე. ფაქტობრივი შეცდომა მნიშვნელოვნად შეფასდება თუ იგი უკავშირდება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენას, საზოგადოებრივი ინტერესის საგანს და დასტურდება ფაქტობრივი უზუსტობა. ამ თვალსაზრისით მხედველობაში მიიღება, როგორ გავლენას ახდენს შეცდომა მაუწყებლის მიმართ საზოგადოების ნდობაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოების სწორად ინფორმირება ამ საკითხზე და რამდენად თვალსაჩინოა უზუსტობა. ტრივიალური, ტექნიკური და მექანიკური უზუსტობები, როგორც წესი, არ მიიჩნევა მნიშვნელოვან შეცდომად და არ წარმოშობს შესწორების ვალდებულებას.

კანონი ადგენს, რომ მაუწყებელმა შეცდომა უნდა შეასწოროს „ღიად“. ღიად შესწორების მოთხოვნა გულისხმობს მაუწყებლის ვალდებულებას, რომ აუდიტორიას დაუფარავად შეატყობინოს დაშვებული შეცდომის თაობაზე და მკაფიოდ განმარტოს კონკრეტულად რომელი ფაქტობრივი მონაცემი გავრცელდა არასწორად, რაში გამოიხატებოდა შეცდომა და რა არის ამ საკითხზე სწორი ინფორმაცია. უშუალოდ შეცდომის შესწორების ფორმასთან, ფორმატთან და საეთერო დროსთან დაკავშირებით კანონი მიუთითებს, რომ ეს უნდა მოხდეს „თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით“, „სათანადო საეთერო დროს“. მაუწყებელმა საკითხს უნდა დაუთმოს მისი მნიშვნელობის ადეკვატური საეთერო დრო და გასწიოს შესაბამისი ძალისხმევა, რათა შეძლოს აუდიტორიის ინფორმირება იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატა ფაქტობრივი შეცდომა და როგორია ფაქტობრივად სწორი ინფორმაცია. მაუწყებელმა

[10] იხ. კომისიის 2025 წლის 17 ივლისის N გ-25-16 / 392 გადაწყვეტილება „ა(ა)იპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ წინააღმდეგ მოქალაქე ლევან მამფორიას საჩივრის განხილვის შესახებ"

სწორად უნდა შეარჩიოს საეთერო დროც და ინფორმაცია გაავრცელოს ისეთ დროს, რომ მეტნაკლებად შესაძლებელი იყოს სათანადო აუდიტორიის მოცვა.

კანონი ასევე განსაზღვრავს შეცდომის შესწორების ვადას - მაუწყებელმა ეს უნდა გააკეთოს დაუყოვნებლივ, მას შემდეგ რაც მისთვის შეცდომის შესახებ გახდება ცნობილი. ტერმინში „დაუყოვნებლივ“ მოიაზრება ის მინიმალური გონივრული ვადა, რაც მაუწყებლისთვის არის აუცილებელი იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონით დადგენილი წესით, ფორმით და ფორმატით, შესაბამის საეთერო დროს მოხდეს შეცდომის შესწორება. შეცდომის გასწორების ვადის კონტექსტში მნიშვნელოვანია, „დაუყოვნებლივ“ გასწორებამ არ დააზიანოს შეცდომის „ღიად“ გასწორების ინტერესი და შეცდომის გასწორება არ მოხდეს ისეთ საეთერო დროს, როცა ვერ მოიცავს სათანადო აუდიტორიას. მაგალითად, საუკეთესო დროს, 21:00 საათზე ეთერში გასული შეცდომის შესახებ თუ მაუწყებელმა შეიტყო 02:00 საათზე და შეუძლია შეცდომა გაასწოროს 02:30 საათზე, შეცდომის გასწორება ვერ მისწვდება სათანადო აუდიტორიას. ამასთან, ცხადია, შესაძლოა, არსებობდეს შემთხვევები, როდესაც გამართლებული იქნება შეცდომის პირველივე შესაძლებლობისთანავე გასწორება, თუ საკითხი ძალიან სენსიტიურია და განსაკუთრებულად მაღალია მისი სწრაფად გასწორების საზოგადოებრივი ინტერესი.

4.6. დადგმების, ინსცენირებისა და რეკონსტრუქციების გამოყენება

სიზუსტის პრინციპი მოითხოვს, რომ მაუწყებელმა ყველა გონივრული ზომა მიიღოს, რათა თავიდან აიცილოს არაზუსტი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება. სწორედ შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელების პრევენციას ემსახურება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესები, რომლებიც ეხება ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკურ პროგრამებში დადგმების, ინსცენირებისა და რეკონსტრუქციების გამოყენებას.

დადგმა, ინსცენირება და რეკონსტრუქცია შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი ხერხი ამა თუ იმ ახალი ამბის, ინფორმაციისა და მოვლენის უკეთ წარმოსაჩენად და აუდიტორიის უკეთ ინფორმირებისათვის. ამასთან, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების მიმართ არსებობს საზოგადოების მოლოდინი, რომ გადაიცემა მიმდინარე მოვლენებისა და ახალი ამბების ამსახველი რეალური მასალა და არა მხატვრული, შემოქმედებითი, დადგმული ნაწარმოებები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ასეთ პროგრამებში დადგმის, ინსცენირების ან რეკონსტრუქციის ხერხების გამოყენებისას, მაუწყებელმა მიიღოს სათანადო ზომები, რათა აუდიტორია არ შევიდეს შეცდომაში და აუდიტორიამ არ მიიჩნიოს, რომ ეცნობა რეალურ მასალას. ამგვარი დადგმების, ინსცენირებისა და რეკონსტრუქციების სათანადო ზომების მიღების გარეშე განთავსებამ შესაძლოა აუდიტორია შეცდომაში შეიყვანოს მნიშვნელოვან საკითხებზე და სერიოზული რისკები შექმნას საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და სხვა ლეგიტიმური ინტერესებისათვის.

მაუწყებელი ვალდებულია, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პროგრამაში ნებისმიერი ისეთი დადგმის, ინსცენირებისა და რეკონსტრუქციის გამოყენებისას, რომელიც არ ასახავს რეალურ მოვლენებს, ნათლად განუმარტოს ამის შესახებ აუდიტორიას და მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ აუდიტორიისთვის ცხადად იყოს გასაგები, რომ ეცნობა დადგმას, ინსცენირებას ან რეკონსტრუქციას. საკმარისი არ არის გაფრთხილება ასეთი დადგმის ამსახველი სიუჟეტის ეთერში განთავსებამდე. საჭიროა დადგმის, ინსცენირების ან რეკონსტრუქციის ეთერში განთავსების სრული მიმდინარეობისას ამონათებული იყოს შესაბამისი გაფრთხილება, რომელიც აუდიტორიას ინფორმაციას აწვდის დადგმის,

ინსცენირების ან რეკონსტრუქციის ეთერში განთავსების თაობაზე, რათა შეცდომაში არ შევიდეს აუდიტორიის ის ნაწილი, რომელიც ვერ გაეცნო გაფრთხილებას სიუჟეტის ეთერში განთავსებამდე.

5. პასუხის უფლება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი დაინტერესებულ პირებს აღჭურავს პასუხის უფლებით. პასუხის უფლება მედიის რეგულირებაში დამკვიდრებული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც უკავშირდება პირის რეპუტაციის დაცვას და შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მაშინ, როდესაც პირის რეპუტაცია ილახება მაუწყებლის ეთერში მის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელებით.

5.1. საკანონმდებლო რეგულირება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-7-მე-12 პუნქტები:

მუხლი 52. ფაქტის ჯეროვანი სიზუსტე და პასუხის უფლება

...

7. დაინტერესებულ პირს, რომლის კანონიერი ინტერესები, კერძოდ, რეპუტაცია და სახელი, შეილახა მაუწყებლის პროგრამაში არასწორი (მცდარი) ფაქტის მოყვანით (გადაცემით), აქვს პასუხის უფლება ამ მუხლით დადგენილი წესით.

8. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საწყისი განცხადების გაკეთებიდან (მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან) 10 დღის ვადაში შესაბამის მაუწყებელს მოსთხოვოს, მისცეს მას შესაძლებლობა, თავად უზრუნველყოს საწყის განცხადებაში მოყვანილი არასწორი (მცდარი) ფაქტის შესწორება ან უარყოფა მაუწყებლის ეთერში თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით, საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც საწყისი განცხადება გაკეთდა.

9. მაუწყებელი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას პასუხის უფლებაზე, თუ:

ა) ფაქტის შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში არ ყოფილა წარდგენილი;

ბ) საწყისი განცხადება პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება ან მომჩივანი განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული არ არის;

გ) ფაქტის შესწორებას ან უარყოფას საწყის განცხადებასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, ან ფაქტის შესწორების ან უარყოფის ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის აუცილებელ ფარგლებს, ან ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა მასში მოყვანილი ფაქტის შესწორება ან უარყოფა;

დ) ფაქტის შესწორება ან უარყოფა გამოიწვევს მაუწყებლისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებას, შეიცავს ცილისწამებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნებს ან უხამსობას;

ე) ფაქტის შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს;

ვ) მომჩივანი თავის კანონიერ ინტერესს ვერ ასაბუთებს.

10. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხის უფლება არსებობს მხოლოდ მაუწყებლის პროგრამაში არასწორი (მცდარი) ფაქტის მოყვანის (გადაცემის) შემთხვევაში და არ ვრცელდება მოსაზრების/შეხედულების გადაცემაზე.

11. პასუხის უფლებაზე მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში.

12. დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ფაქტის ჯეროვანი სიზუსტის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად მაუწყებელს დაავალოს დაინტერესებული პირისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა.

5.2. პასუხის უფლების წინაპირობები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, ვინ შეიძლება იყოს პასუხის უფლების მოთხოვნაზე უფლებამოსილი, დაინტერესებული პირი. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ამ უფლებით მოსარგებლეა ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაასაბუთებს, რომ მისი რეპუტაცია და სახელი შეილახა მაუწყებლის პროგრამაში არასწორი ფაქტის გადაცემით.

კანონი განსაზღვრავს პასუხის უფლების მოთხოვნის საფუძველს. პასუხის უფლების მოთხოვნა პირს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლის პროგრამაში გავრცელდა არასწორი ფაქტი. პასუხის უფლების მიზნებისთვის რელევანტური არ არის არასწორი ფაქტი გაავრცელა მაუწყებლის წარმომადგენელმა (წამყვანი, ჟურნალისტი), თუ მესამე პირმა (პროგრამის სტუმარი). კანონის თანახმად, პასუხის უფლება შემოიფარგლება მხოლოდ არასწორი ფაქტების გავრცელების შემთხვევებით და არ ვრცელდება მოსაზრების/შეხედულების გადაცემაზე.

პასუხის უფლებით სარგებლობის ვადაა მაუწყებლის ეთერში საწყისი განცხადების გაკეთებიდან - 10 დღე. სწორედ ამ ვადაში უნდა წარუდგინოს პირმა მაუწყებელს პასუხის უფლებით სარგებლობის მოთხოვნა. პასუხის უფლება აუცილებელია წარდგენილი იყოს წერილობით და შეიცავდეს დეტალურ დასაბუთებას, თუ რატომ მიიჩნევს პირი, რომ მაუწყებლის პროგრამაში გავრცელდა მცდარი ფაქტი, რატომ ლახავს ის ამ პირის რეპუტაციას და სახელს და მითითებული იყოს, თუ როგორ სურს პირს პასუხის უფლებით სარგებლობა.

პასუხის უფლება არ გულისხმობს უშუალოდ მაუწყებლის ან მესამე პირის დავალდებულებას, უარყონ პირის შესახებ გადაცემული არასწორი ფაქტი.[11] პასუხის უფლება პირს აღჭურავს შესაძლებლობით, მაუწყებლის ეთერით თავად უზრუნველყოს არასწორი ფაქტის შესწორება ან უარყოფა. პირს ამის საშუალება უნდა მიეცეს თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით, საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით ისეთ საეთერო დროს, როდესაც საწყისი განცხადება გაკეთდა, რათა

[11] ასეთი ვალდებულება შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში დაეკისროს მაუწყებელს ჯეროვანი სიზუსტის მოთხოვნის დარღვევისას

მისწვდეს დაახლოებით იმ აუდიტორიას, რომელსაც მიეწოდა მისი სახელისა და რეპუტაციის შემლახავი არასწორი ინფორმაცია.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-9 პუნქტი განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ პასუხის უფლებაზე უარის თქმის საფუძვლებს:

ა) თუ დარღვეულია პასუხის უფლების მოთხოვნის ვადა - კერძოდ, თუ მოთხოვნა წარდგენილი არ ყოფილა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში;

ბ) თუ განცხადება პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება ან მომჩივანი განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული არ არის. პასუხის უფლებით სარგებლობა პირის ინდივიდუალური უფლებაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, დასაბუთებული იყოს არასწორი ფაქტის გადაცემით კონკრეტული პირის სახელისა და რეპუტაციის შელახვა.

გ) ფაქტის შესწორებას ან უარყოფას საწყის განცხადებასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, ან ფაქტის შესწორების ან უარყოფის ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის აუცილებელ ფარგლებს, ან ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა მასში მოყვანილი ფაქტის შესწორება ან უარყოფა - როგორც აღინიშნა, პასუხის უფლების მოთხოვნის თაობაზე პირმა ასევე უნდა მიუთითოს, თუ რა ფორმით სურს პასუხის უფლებით სარგებლობა. პასუხის უფლებით სარგებლობა უნდა მოხდეს სწორედ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის თანაზომიერად და არ უნდა სცდებოდეს მის ფარგლებს. ასევე, როგორც აღინიშნა, პასუხის უფლება მხოლოდ არასწორი ფაქტების გავრცელებას ეხება და არ მოიცავს შეხედულებებისა და მოსაზრებების უარყოფის შესაძლებლობას.

დ) ფაქტის შესწორება ან უარყოფა გამოიწვევს მაუწყებლისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებას, შეიცავს ცილისწამებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნებს ან უხამსობას - მაუწყებელი ვალდებულია შეაფასოს, რომ პირის მიერ პასუხის უფლებით სარგებლობით არ დაირღვეს სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან არ გავრცელდეს უხამსობა. თავის მხრივ, უხამსობა განმარტებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მოიცავს ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს და არა აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება.[12]

ე) ფაქტის შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს - როგორც აღინიშნა, ფაქტის შესწორება უნდა იყოს პირის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის თანაზომიერი და უნდა უკავშირდებოდეს უშუალოდ ამ ფაქტობრივ მონაცემს და არა მესამე პირებს.

ვ) მომჩივანი თავის კანონიერ ინტერესს ვერ ასაბუთებს - პასუხის უფლების მოთხოვნის თაობაზე განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს პირის კანონიერი ინტერესი, კერძოდ, ის გარემოება, რომ არასწორი ფაქტის გადაცემით შეილახა პირის რეპუტაცია და სახელი.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პასუხის უფლებაზე უარის კონტროლის შესაძლებლობას. პირს უფლება აქვს პასუხის უფლებაზე უარი გაასაჩივროს სასამართლოში ან კომისიაში.

---

[12] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[12] ქვეპუნქტი. უხამსობის შესახებ ვრცლად იხ. კომისიის გადაწყვეტილება „შპს „მთავარი არხის“ სამართალდამრღვევად ცნობის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ (№ გ-21-18/22, 28.01.2021).

აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით ასევე შემოღებულ იქნა პასუხის უფლებით სარგებლობის განსხვავებული მექანიზმი, რომელიც უკავშირდება ჯეროვანი სიზუსტის დარღვევას. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია, ფაქტის ჯეროვანი სიზუსტის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად მაუწყებელს დაავალოს დაინტერესებული პირისთვის პასუხის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა. ამრიგად, თუ კომისიის მიერ დადგინდა, რომ მაუწყებლის მიერ დაირღვა ჯეროვანი სიზუსტის მოთხოვნა და დაკმაყოფილებულია პასუხის უფლებით სარგებლობის წინაპირობები - პირის შესახებ გავრცელდა არასწორი ფაქტი, რომელიც ლახავს მის სახელს და რეპუტაციას, ამ პირის მოთხოვნით შესაძლებელია კომისიამ მაუწყებელს დააკისროს ვალდებულება, რომ პირს მისცეს პასუხის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა იმის მიუხედავად, რომ პირის მიერ კანონით დადგენილი წესით პასუხის მოთხოვნის უფლება საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში არ ყოფილა წარდგენილი.

6. მიუკერძოებლობის პრინციპი

2025 წლის 1 აპრილის კანონის შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით კომისიის მიერ აღსრულებას დაექვემდებარა ისეთი შინაარსობრივი მოთხოვნა, როგორიც არის მაუწყებლის მიუკერძოებლობა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ახალი ამბების გადაცემისას მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში პოლიტიკური ან სხვა სახის დავის გაშუქებისას მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ბალანსის დაცვა თითოეულ პროგრამაში ან პროგრამების ციკლის განმავლობაში. მაუწყებელმა ყველა საგულისხმო მოსაზრება მიუკერძოებლად და არადისკრიმინაციულად უნდა წარმოაჩინოს. მიუკერძოებლობა მაუწყებლობის და ზოგადად მედიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია. მიუკერძოებლობის პრინციპი მოითხოვს, რომ მაუწყებელმა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები გააშუქოს სათანადო ობიექტურობით და უზრუნველყოს, რომ საჯარო დისკუსიის არცერთ მხარეს არ მიენიჭოს უპირატესობა. მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა შესაძლებელია შესაბამისი სარედაქციო ხერხების გამოყენებით. აღნიშნული პრინციპის ცალკეული მოთხოვნები გაწერილია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის დებულებებში.

მიუკერძოებლობის სტანდარტებისა და მოთხოვნების იდენტიფიცირებისას კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაითვალისწინებს მაუწყებლისა და აუდიტორიის გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესს, რომ მაუწყებელს ჰქონდეს ლეგიტიმური შესაძლებლობა, შეასრულოს საზოგადოებრივი მეთვალყურის ფუნქცია და მწვავედ, კრიტიკულად გააშუქოს ნებისმიერი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა და მოსაზრება. მეორე მხრივ, ასევე მხედველობაში მიიღება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი, რომ სამაუწყებლო მედიამ დაიცვას მიუკერძოებლობა და ხელი შეუწყოს ინფორმირებულ დემოკრატიულ დებატს.

6.1. საკანონმდებლო რეგულირება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი-მე-6, მე-9-მე-10 პუნქტები:

მუხლი 54. სამართლიანობა და მიუკერძოებლობა

1. ახალი ამბების გადაცემისას მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა.

2. ახალი ამბების პროგრამაში მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ფაქტისა და მოსაზრების მკაფიო გამიჯვნა.

3. დაუშვებელია პოლიტიკური თანამდებობის პირის ან პოლიტიკური პარტიის წევრის მონაწილეობა ახალი ამბების ან საინფორმაციო პროგრამაში წამყვანის, ინტერვიუერის ან ჟურნალისტის სახით.

4. ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში პოლიტიკური ან სხვა სახის დავის გაშუქებისას მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ბალანსის დაცვა თითოეულ პროგრამაში ან პროგრამების ციკლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ, პროგრამის ფორმატიდან გამომდინარე, ბალანსის დაცვა დაგეგმილია პროგრამების ციკლის განმავლობაში, ამის შესახებ აუდიტორიას უნდა ეცნობოს პროგრამის დაწყების პირველსავე დღეს.

5. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში პოლიტიკური ან სხვა სახის დაპირისპირების ამსახველი ინფორმაციის ან საჯარო პოლიტიკის მიმდინარე საკითხების გაშუქება მაუწყებლის პირადი დამოკიდებულების ან მოსაზრების საფუძველზე. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვა.

6. საავტორო პროგრამის გადაცემისას უშუალოდ პროგრამის დაწყების წინ აუდიტორიას უნდა ეცნობოს, რომ პროგრამა საავტოროა. საავტორო პროგრამაში აუდიტორიას უნდა მიეწოდოს მოსაზრებათა ფართო სპექტრი, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ფაქტების დამახინჯება და განსხვავებული აზრის არასწორი ინტერპრეტირება. საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისთვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა.

...

9. პროგრამაში მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის მოწვევა აქტუალურ საკითხზე კონკრეტული პოზიციის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ჯგუფებზე თავდასხმის საშუალებად, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამაში.

10. პირდაპირ ეთერში შემოსული ზარები უნდა იქნეს შერჩეული სამართლიანობის პრინციპის დაცვით და დაუშვებელია მხოლოდ ერთი შეხედულების გამოხატვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ ზარებით საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება.

6.2. მაუწყებლის მოსაზრების გამოხატვის შეზღუდვა

მიუკერძოებლობის პრინციპის შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ზღუდავს მაუწყებლის შესაძლებლობას, ახალი ამბებისა და ცალკეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ან/და მიმდინარე მოვლენები გააშუქოს მიკერძოებულად, საკუთარი შეხედულების მიხედვით. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია მაუწყებლის მიერ ახალი ამბებისა და

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში პოლიტიკური ან სხვა სახის დაპირისპირების ამსახველი ინფორმაციის ან საჯარო პოლიტიკის მიმდინარე საკითხების გაშუქება მაუწყებლის პირადი დამოკიდებულების ან მოსაზრების საფუძველზე. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვა. ამგვარი განმარტება ასევე გამომდინარეობს კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდანაც, რომლის მიხედვითაც, „იზღუდება მაუწყებლის მიერ ახალი ამბების პროგრამაში, აგრეთვე სხვა საჯარო პოლიტიკის საკითხების გაშუქებისას (საავტორო პროგრამების გარდა) პოზიციის გამოხატვა.“[13]

მაუწყებლის პოზიციის გამოხატვის შეზღუდვა ემსახურება მაუწყებლისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკურსის დაცვას, რათა აღიკვეთოს ვიწროპარტიული ინტერესების გამტარებელი ძლიერი ფინანსური ან გავლენიანი ჯგუფების მიერ მაუწყებლის მეშვეობით საზოგადოებრივ აზრზე არასათანადო ზემოქმედება. ამასთან, აღნიშნული დებულების მიზანია, არ დაუშვას მაუწყებლის მესაკუთრის მიერ მისი სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფა და მაუწყებლის გამოყენება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე კონკრეტული ინტერესთა ჯგუფისთვის ხელსაყრელი მოსაზრებების გავრცელებისათვის, რაც საბოლოო ჯამში არასათანადო გავლენას ახდენს პოლიტიკურ დისკურსსა და დემოკრატიულ დებატზე.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, მაუწყებლის მიერ რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვის შეზღუდვა ვრცელდება ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებზე (გარდა საავტორო პროგრამებისა).[14] საავტორო პროგრამებში დასაშვებია საავტორო პროგრამის წამყვანის მიერ საკუთარი მოსაზრების გამოხატვა, თუმცა დაცული უნდა იყოს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები საავტორო პროგრამებთან დაკავშირებით.

კომისიის მიერ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მაუწყებლის პოზიციის გამოხატვა შეფასდება ინდივიდუალური გარემოებების ანალიზის გზით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, პოზიციას გამოხატავს თუ არა მაუწყებლის წარმომადგენელი და არის თუ არა გამოხატული რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო პოზიცია.[15] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტით ასევე იკრძალება მაუწყებლის მიერ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში პოლიტიკური ან სხვა სახის დაპირისპირების ამსახველი ინფორმაციის ან საჯარო პოლიტიკის მიმდინარე საკითხების გაშუქება მაუწყებლის პირადი დამოკიდებულების ან მოსაზრების საფუძველზე. შესაბამისად, შეზღუდულია არა მხოლოდ მაუწყებლის პოზიციის გამოხატვა,

---

[13] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ N 07-3/29/11, 2

[14] ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საავტორო პროგრამების განმარტება მოცემულია გზამკვლევის მე-3 თავში

[15] იხ. კომისიის 2025 წლის 3 ივლისის გ-25-16/355 გადაწყვეტილება „შპს „ფორმულას“ წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საჩივრის განხილვის თაობაზე“, კომისიის 2025 წლის 3 ივლისის გ-25-16/354 გადაწყვეტილება „შპს „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საჩივრის განხილვის თაობაზე“, კომისიის 2025 წლის 3 ივლისის გ-25-16/353 გადაწყვეტილება „შპს „ტელეკომპანია პირველის“ წინააღმდე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საჩივრის განხილვის თაობაზე“

არამედ - მაუწყებლის პოზიციის შესაბამისად, პოლიტიკური ან სხვა სახის დაპირისპირების და საჯარო პოლიტიკის მიმდინარე საკითხების გაშუქება. მაუწყებელმა აღნიშნული საკითხების გაშუქებისას უნდა დაიცვას თვალსაზრისობრივი ნეიტრალიტეტი და რომელიმე მხარისთვის უპირატესობის მინიჭების გარეშე, მიუკერძოებლად და ნეიტრალურად გადმოსცეს მოვლენები.

6.3. ბალანსის დაცვა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში პოლიტიკური ან სხვა სახის დავის გაშუქებისას მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ბალანსის დაცვა თითოეულ პროგრამაში ან პროგრამების ციკლის განმავლობაში. ბალანსის დაცვის მოთხოვნა მიუკერძოებლობის პრინციპის ცენტრალური კომპონენტია. მისი მიზანია, აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით არსებული თითოეული საგულისხმო მოსაზრება თანასწორად და დაბალანსებულად მიეწოდოს საზოგადოებას, რომელიც შემდგომ შეძლებს, ინფორმირებულად მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში, მათ შორის, საზოგადოებრივ დისკუსიასა და არჩევნებში. საზოგადოების თითოეულ წევრს უფლება აქვს, ჩართული იყოს დემოკრატიული მმართველობის პროცესში და უნდა ჰქონდეს წვდომა ყველა საგულისხმო მოსაზრებაზე, რომელიც მას მისცემს ინფორმირებული პოზიციის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. თითოეული მაუწყებლის ეთერში აუდიტორიას უნდა მიუწვდებოდეს ხელი ყველა საგულისხმო კონტრასტულ შეხედულებაზე, რათა შემლოს დემოკრატიულ პროცესებში სრულყოფილად ჩართვა. მიუკერძოებლობის პრინციპი და ბალანსის მოთხოვნა არ უზღუდავს მაუწყებელს შესაძლებლობას, გააშუქოს რომელიმე მოსაზრება იმ პირობით, რომ სიზუსტის დაცვით და ადეკვატურად იქნება ასახული ყველა სხვა ალტერნატიული შეხედულება.

ბალანსის მოთხოვნა ვრცელდება ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში[16] პოლიტიკური ან სხვა სახის დავის გაშუქებაზე. მოთხოვნა შეეხება პოლიტიკურ, ინდუსტრიულ ნებისმიერ სხვა საკითხზე არსებულ საკითხს, რომელზეც პოლიტიკოსებს, ინდუსტრიას ან/და საზოგადოების წევრებს აქვთ დისკუსია.

ბალანსის მოთხოვნა გულისხმობს მაუწყებლის ვალდებულებას, რომ საზოგადოებას დაბალანსებულად და თანაბრად წარუდგინოს საკითხთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო მოსაზრება. კანონი არ განსაზღვრავს კონკრეტულ წესს ან პროცედურას, თუ როგორ უნდა დაიცვას მაუწყებელმა ბალანსი. ბალანსის დაცვა თითოეულ შემთხვევაში მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ხდება. მაუწყებელს აქვს შესაძლებლობა, თავად შეარჩიოს სარედაქციო და ჟურნალისტური ხერხები ბალანსის დასაცავად იმ პირობით, რომ საბოლოო ჯამში ეთერში განთავსებული პროგრამაში მიუკერძოებლად და დაბალანსებულად იქნება წარმოჩენილი ყველა საგულისხმო მოსაზრება. ბალანსის მოთხოვნის დაცვა დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, როგორებიც არის - პროგრამის ბუნება, პროგრამაში არგუმენტების წარდგენის ფორმატი, პროგრამის აუდიტორია და აუდიტორიის მოლოდინები. ბალანსის მოთხოვნა არ გულისხმობს მაუწყებლის ვალდებულებას, რომ წარმოადგინოს პროგრამაში საკითხზე არსებული ყველა არგუმენტი.

მიუკერძოებლობის პრინციპი არ ზღუდავს მაუწყებლის შესაძლებლობას, გააშუქონ საჯარო ხელისუფლების ორგანოების ან ინსტიტუტების გატარებული პოლიტიკა ან განხორციელებული

[16] ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები განმარტებულია გზამკვლევის მე-3 თავში

ქმედებების შესახებ არსებული კრიტიკული მოსაზრებები. პირიქით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებელმა ახალი ამბებისა და პოლიტიკური პროგრამების პროგრამებში შეძლოს და სათანადოდ გამოიკვლიოს ამგვარი კრიტიკული შეხედულებები. თუმცა, ამ პროცესში მაუწყებელმა უნდა დაიცვას მიუკერძოებლობის პრინციპის მოთხოვნები, რაც მოიცავს ალტერნატიული შეხედულებების სათანადოდ წარმოჩენის ვალდებულებას. მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო პოლიტიკური, ინდუსტრიული ან სხვა საზოგადოებრივი საკითხი ნაკლებად ექცევა მედიის ყურადღების ქვეშ, არ გამორიცხავს მაუწყებლის ვალდებულებას, რომ საკითხთან დაკავშირებით წარმოაჩინოს ალტერნატიული შეხედულებები.

მიუკერძოებლობის პრინციპის დასაცავად საკმარისი არ არის სადავო საკითხთან დაკავშირებით ადამიანებისთვის, ორგანიზაციებისთვის, ინსტიტუტებისთვის ან ორგანოებისთვის პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობის მინიჭება. თუ სუბიექტები, რომელთა შეხედულების წარმოჩენა აუცილებელია პროგრამის მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, რაიმე მიზეზით უარს აცხადებენ პროგრამაში მონაწილეობაზე, მაუწყებელმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა მოიპოვოს და დაბალანსებულად გააშუქოს მათი მოსაზრებებიც. როგორც აღინიშნა, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისად ხორციელდება. როცა მაუწყებლები აშუქებენ სადავო საკითხებს და ალტერნატიული შეხედულებები არ არის მარტივად ხელმისაწვდომი (მაგალითად, პოლიტიკოსი ან პოლიტიკური გაერთიანება უარს აცხადებს ინტერვიუზე, კომენტარზე ან პროგრამაში მონაწილეობაზე), არსებობს სარედაქციო ხერხები, რომელთაც შესაძლებელია მაუწყებელმა მიმართოს მიუკერძოებლობის დასაცავად. მაგალითად:

- შესაძლებელია, ალტერნატიული შეხედულებების შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნეს ადამიანების, ორგანიზაციების, ინსტიტუტების ან ორგანოების საჯარო განცხადებების ანალიზით;
- შესაძლებელია, ინტერვიუერმა კრიტიკულად გააანალიზოს პროგრამაში წარმოდგენილი მოსაზრებები, რადგან პროგრამის მონაწილეებს არ მიეცეთ შესაძლებლობა, იმგვარად დააფიქსირონ საკუთარი შეხედულებები, რომ დაირღვეს ბალანსი და ეჭვქვეშ დადგეს მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა;
- როდესაც პროგრამის მონაწილე გამოხატავს კონკრეტულ შეხედულებას, ინტერვიუერს/წამყვანს შეუძლია კითხვებში ასახოს ალტერნატიული შეხედულებები;
- შესაძლებელია წამყვანმა პროგრამის მიმდინარეობისას სათანადო ობიექტურობით შეაჯამოს და კონტექსტში ჩასვას ალტერნატიული შეხედულებები;
- მოწვეულ იქნენ ისეთი პროგრამის მონაწილეები, რომლებიც გამოხატავენ ალტერნატიულ შეხედულებებს.

ამრიგად, მიუკერძოებლობის პრინციპი და ბალანსის დაცვის მოთხოვნა ვრცელდება მაშინაც, როდესაც ამა თუ იმ შეხედულების მქონე საზოგადოების ნაწილი არ მონაწილეობს პროგრამაში. ამ კუთხით რელევანტური არ არის, ისინი პროგრამაში არ მონაწილეობენ საკუთარი სურვილით, თუ მაუწყებელმა გარკვეული სარედაქციო მოსაზრებით არ მიიჩნია საჭიროდ მათი პროგრამაში მონაწილეობა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, პროგრამაში მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის მოწვევა აქტუალურ საკითხზე კონკრეტული პოზიციის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ჯგუფებზე თავდასხმის საშუალებად, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამაში. შესაბამისად, როდესაც პროგრამაში არ

მონაწილეობს ამა თუ იმ პოზიციის მხარდამჭერი დაინტერესებული მხარე, მაუწყებელმა უნდა მიმართოს შესაბამის ხერხებს, რათა ბალანსი არ დაირღვეს მათი პოზიციის საზიანოდ და მხოლოდ ის მოსაზრება არ გახმოვანდეს, რომლის მხარდაჭერებიც მონაწილეობენ პროგრამაში.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მაუწყებელს აძლევს უფლებას, ბალანსი დაიცვას პროგრამაში ან პროგრამების ციკლის განმავლობაში. შესაძლებელია, ბალანსი დაცული იყოს პროგრამების ციკლის განმავლობაში, როდესაც მაუწყებლის ერთზე მეტი პროგრამა ერთმანეთთან რედაქციულად დაკავშირებულია, აშუქებს ერთსა და იმავე ან ერთგვაროვან საკითხებს და მიმართულია ერთგვაროვანი აუდიტორიისკენ. პროგრამების ციკლში შემავალი პროგრამები ერთგვაროვანი აუდიტორიისკენ მიმართულად მიიჩნევა, თუ ისინი იმგვარად არის განთავსებული, რომ მომდევნო პროგრამებს გაეცნობა (უყურებს/მოისმენს) ის აუდიტორია, რომელიც წინა პროგრამას გაეცნო. მაგალითად, თუ პროგრამების ციკლში შემავალი პირველი პროგრამა ეთერში განთავსდა 20:00 საათზე, ხოლო მეორე - 03:00 საათზე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მეორე პროგრამას გაეცნობა იმ კომპოზიციის აუდიტორია, რომელიც პირველს გაეცნო. შესაბამისად, ასეთი პროგრამების ციკლში ბალანსის დაცვა მისაღებად არ იქნება მიჩნეული. ამ თვალსაზრისით მაუწყებელს მოეთხოვება გონივრული ზომების მიღება და არა აუდიტორიის კომპოზიციის აბსოლუტური სიზუსტით განსაზღვრა.

თუ მაუწყებელი გეგმავს ბალანსის დაცვას პროგრამათა ციკლის განმავლობაში აუცილებელია ამის შესახებ აუდიტორიის სათანადოდ ინფორმირება. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ, პროგრამის ფორმატიდან გამომდინარე, ბალანსის დაცვა დაგეგმილია პროგრამების ციკლის განმავლობაში, ამის შესახებ აუდიტორიას უნდა ეცნობოს პროგრამის დაწყების პირველსავე დღეს.

პროგრამაში ბალანსის დაცვის მოთხოვნა ასევე ვრცელდება ეთერში შემოსულ ზარებზეც. თუ მაუწყებელი თავისი სარედაქციო გადაწყვეტილების ფარგლებში ამა თუ იმ საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხზე პირდაპირ ეთერში იღებს ზარებს, აუცილებელია არ მოხდეს შემოსული ზარებით საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, პირდაპირ ეთერში შემოსული ზარები უნდა იქნეს შერჩეული სამართლიანობის პრინციპის დაცვით და დაუშვებელია მხოლოდ ერთი შეხედულების გამოხატვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ ზარებით საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება. აღსანიშნავია, რომ კანონი ითხოვს სამართლიან მოპყრობას და კრძალავს საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებას. მაუწყებელს არ ეკისრება აუცილებლად რომელიმე შეხედულების მხარდამჭერი ზარის მოძიების და ხელოვნურად ასახვის ვალდებულება.

6.4. საავტორო პროგრამის ეთერში განთავსების წესი

როგორც აღინიშნა, განსხვავებული რეჟიმია დაწესებული საავტორო პროგრამებთან დაკავშირებით. ასევე წინამდებარე გზამკვლევში განიმარტა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის საავტორო პროგრამებს განეკუთვნება პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილია რომელიმე კონკრეტული შეხედულება ან პერსპექტივა და რომელშიც გადმოცემულია ჟურნალისტის, კომენტატორის ან აკადემიის წარმომადგენლის საავტორო პოზიცია.

საავტორო პროგრამებთან დაკავშირებით კანონით დადგენილი განსხვავებული რეჟიმი მოიცავს გადახვევას ზოგადი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც, იკრძალება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ

პროგრამებში მაუწყებლის წარმომადგენლის მოსაზრების გამოხატვა და შესაძლებელს ხდის საავტორო პროგრამის წამყვანის პოზიციის გამოხატვას. ამ შემთხვევაში გადახვევა ვრცელდება მხოლოდ საავტორო პროგრამის წამყვანის პოზიციის გამოხატვაზე და უშუალოდ მაუწყებლის პოზიციის გამოხატვა საავტორო პროგრამაშიც შეზღუდულია.

ზემოაღნიშნული გადახვევის და წამყვანისთვის საკუთარი მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობის გათვალისწინებით, საავტორო პროგრამას თან სდევს ცალკეული ვალდებულებები. ერთი მხრივ, მაუწყებელი ვალდებულია, მოახდინოს აუდიტორიის სათანადოდ ინფორმირება იმის შესახებ, რომ ეცნობა საავტორო პროგრამას და მეორე მხრივ, მაუწყებლის წარმომადგენლის/წამყვანის პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული, არ უნდა დაირღვეს ბალანსი და მიუკერძოებლობა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, საავტორო პროგრამის გადაცემისას უშუალოდ პროგრამის დაწყების წინ აუდიტორიას უნდა ეცნობოს, რომ პროგრამა საავტორო. ამრიგად, კანონი ადგენს აუდიტორიის ინფორმირების ვალდებულებას, რათა საზოგადოებას შეეძლოს, განსაზღვროს საკუთარი მოლოდინები საავტორო პროგრამის ფორმატთან, სპეციფიკასთან და მაუწყებლის წარმომადგენლის მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ კანონი ინფორმირების ვალდებულებას ადგენს მხოლოდ პროგრამის დაწყების წინ და არ მოიცავს ინფორმირების სხვა დამატებით ღონისძიებებს (მაგალითად, მაუწყებელი ვალდებული არ არის ამგვარად მონიშნოს პროგრამა სამაუწყებლო ბადეში).

ამავდროულად, როგორც აღინიშნა, ბალანსისა და ზოგადი მიუკერძოებლობის მოთხოვნა სხვა მხრივ, სრულად ვრცელდება საავტორო პროგრამებზე. კანონის თანახმად, საავტორო პროგრამაში აუდიტორიას უნდა მიეწოდოს მოსაზრებათა ფართო სპექტრი, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ფაქტების დამახინჯება და განსხვავებული აზრის არასწორი ინტერპრეტირება. საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისთვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა. დაუშვებელია საავტორო პროგრამაში ალტერნატიული შეხედულებები მხოლოდ ზედაპირულად იყოს წარმოჩენილი და წამყვანის მხრიდან ნიველირებული. თუ წამყვანს ცალკეულ საკითხებზე აქვს მყარად ჩამოყალიბებული შეხედულებები და არსებობს ამ შეხედულებების საწინააღმდეგო, ალტერნატიული შეხედულებები, მაუწყებელს უნდა ჰქონდეს შემუშავებული სათანადო სისტემა, რათა ერთიანობაში არ დაირღვეს ბალანსი და დაცული იყოს მიუკერძოებლობის პრინციპი.

6.5. ფაქტის და მოსაზრების გამიჯვნა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ახალი ამბების პროგრამაში ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის ვალდებულებას. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახალი ამბების პროგრამაში მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ფაქტისა და მოსაზრების მკაფიო გამიჯვნა. კანონის მიხედვით, ეს ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ ახალი ამბების პროგრამაზე.[17] მართალია, აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებზე, თუმცა მაუწყებელმა უნდა შეასრულოს

[17] ახალი ამბების პროგრამის განმარტება მოცემულია გზამკვლევის მე-3 თავში

სიზუსტისა და მიუკერძოებლობის პრინციპის მოთხოვნები და საზოგადოება დაიცვას შეცდომაში შემყვანი და მიკერძოებული ინფორმაციისგან, მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებშიც.

საზოგადოებას უფლება აქვს, მიიღოს გადამოწმებული და ობიექტური ინფორმაცია მაუწყებლის ახალი ამბების პროგრამების მეშვეობით. შესაბამისად, ახალი ამბების პროგრამაში ფაქტობრივი ინფორმაციის სწორად მიწოდებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახალი ამბების პროგრამის მიმართ ნდობის მაღალი საჭიროების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მაუწყებელმა აუდიტორიას გამიჯნულად მიაწოდოს ფაქტობრივი მონაცემები, ინფორმაცია ამა თუ იმ მოვლენის შესახებ და საზოგადოების წევრების მოსაზრებები, შეფასებები და კომენტარები. დაუშვებელია რომელიმე მოსაზრება დადასტურებული ფაქტის სახით, შენიღბულად და დამაბნევლად იყოს აუდიტორიისთვის მიწოდებული. ახალი ამბების პროგრამაში ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა ხელს უწყობს აუდიტორიის სწორად ინფორმირებულობას, რადგან აუდიტორიას ეძლევა შესაძლებლობა, გაერკვეს რომელი ინფორმაცია მიეკუთვნება ფაქტს და რომელია ამ ფაქტის შეფასება, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია სუბიექტური და მიკერძოებული იყოს.

ამრიგად, კანონი მოითხოვს ახალი ამბების პროგრამაში ფაქტისა და მოსაზრების მკაფიო გამიჯვნას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის იდენტიფიცირება, თუ რა მოიაზრება „ფაქტში", რა - „მოსაზრებაში" და როგორ უნდა იქნეს მათი გამიჯვნა უზრუნველყოფილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მოსაზრებაში იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე, და იმის მტკიცებას, სიმართლეს შეესაბამება თუ მცდარია, არ ექვემდებარება. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია.[18] აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, ხშირად მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი - რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი.[19] აქედან გამომდინარე, კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაცემული ინფორმაციის ფორმის, შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით დაადგენს, სახეზეა შეფასებითი გამონათქვამი - მოსაზრება, თუ - ფაქტობრივი, ობიექტური და გადამოწმებადი გარემოებიდან გამომდინარე ინფორმაცია - ფაქტი.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის მოთხოვნა არ ვრცელდება უშუალოდ მაუწყებლის მოსაზრებაზე, ვინაიდან ახალი ამბების პროგრამაში მაუწყებლის მოსაზრების გამოხატვა თავისთავად აკრძალულია. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტისა და მოსაზრების მკაფიო გამიჯვნის ვალდებულება ვერ გავრცელდება მაუწყებლის მიერ, რომელიმე ინტერესთა ჯგუფის სასარგებლოდ/საწინააღმდეგოდ

[18] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (№ას-797-2022, 25.11.2022).

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (№ას-1477-1489-2011, 3.04.2012); საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (№ას-797-2022, 25.02.2022).

გამოხატული მოსაზრების ფაქტისგან გამიჯვნაზე, ვინაიდან მაუწყებლის მიერ ამგვარი მოსაზრების გამოხატვა კანონით თავისთავად აკრძალულია. კერძოდ, ახალი ამბების პროგრამაში მაუწყებლის მიერ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება სრულად აკრძალულია, რადგან ირღვევა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.[20]

მაუწყებელს უფლება აქვს, თავად შეარჩიოს სარედაქციო ხერხები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფს ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნას, თუმცა უნდა შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ახალი ამბების პროგრამაში გამიჯნულად იყოს წარმოდგენილი ფაქტი და მოსაზრება, თავიდან იქნეს აცილებული აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა. დაუშვებელია, ესა თუ ის მოსაზრება და შეფასება ახალი ამბების პროგრამაში შენიღბულად, ფაქტის სახით იყოს წარმოდგენილი. აუცილებელია, მაუწყებელმა მკაფიოდ მიუთითოს ამა თუ იმ მოსაზრების ავტორზე (ან ავტორებზე), რითაც თავიდან აიცილებს მოსაზრების ფაქტის სახით გადაცემას. ასევე, მნიშვნელოვანია, მოსაზრებასა და მოსაზრების ავტორზე მითითება იმგვარად მოხდეს, რომ ნათლად იკვეთებოდეს, რომ საუბარია მოსაზრებაზე და არა ფაქტზე. მაუწყებელმა ახალი ამბების პროგრამაში მოსაზრებაზე მითითება იმგვარად უნდა გააკეთოს, რომ აუდიტორიას შთაბეჭდილება არ შეექმნას, რომ მითითება ხდება ფაქტობრივი მონაცემის წყაროზე და არა მოსაზრებაზე. მაგალითად, თუ ახალი ამბების პროგრამაში გადაიცემა შემდეგი პასაჟი: „თვითმხილველების ინფორმაციით, ქ. თბილისში მოხდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევა“, ამ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო შემთხვევა არის ფაქტობრივი ინფორმაცია, ხოლო - თვითმხილველები ამ ინფორმაციის წყარო. თუ ახალი ამბების პროგრამაში მიეთითება: „თვითმხილველების ინფორმაციით, ქ. თბილისში ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მოხდა X მარკის ავტომობილის მძღოლის ბრალეულობით“, მაშინ, როდესაც სახეზეა არა - ფაქტის, არამედ - თვითმხილველების მოსაზრების გადმოცემა და მნიშვნელოვანია, რომ ეს გადაიცეს არა ფაქტის სახით „თვითმხილველების ინფორმაციაზე“ მითითებით, არამედ ნათლად ჩანდეს, რომ ეს არის თვითმხილველების მოსაზრება და არა დადასტურებული ინფორმაცია, რასაც სჭირდება შესაბამისი ფორმულირება - „თვითმხილველების მოსაზრებით“, „თვითმხილველების შეფასებით“ და ა.შ. ცხადია, იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი წესით დადასტურდება ავტოსატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლის ბრალეულობა, ეს შესაძლებელია, ფაქტის სახითაც გავრცელდეს და ამ ინფორმაციის წყარო შესაძლებელია თვითმხილველებიც იყვნენ (მაგალითად, თუ მათ აქვთ ინფორმაცია უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ), თუმცა ასეთის არარსებობის შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ თვითმხილველების შეფასება, მოსაზრება და არა დადასტურებული ფაქტი.

ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის მოთხოვნა ასევე შეიძლება დაირღვეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მაუწყებელი რომელიმე ფაქტს მოსაზრებად წარმოაჩენს. აუდიტორიისთვის შეცდომაში შემყვანი ან მანიპულაციური შეიძლება იყოს სათანადოდ დადასტურებული ფაქტობრივი გარემოების არა ფაქტად, არამედ - მოსაზრებად წარმოჩენა. მაგალითად, თუ დადასტურებულია, რომ ინფლაცია ქვეყანაში შეადგენს 3 %-ს, ეს ინფორმაცია დადასტურებულად, ფაქტობრივი მონაცემის სახით უნდა მიეწოდოს

[20] კომისიის 2025 წლის 3 ივლისის გ-25-16/355 გადაწყვეტილება „შპს „ფორმულას“ წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საჩივრის განხილვის თაობაზე“, კომისიის 2025 წლის 3 ივლისის გ-25-16/354 გადაწყვეტილება „შპს „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საჩივრის განხილვის თაობაზე“, კომისიის 2025 წლის 3 ივლისის გ-25-16/353 გადაწყვეტილება „შპს „ტელეკომპანია პირველის“ წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საჩივრის განხილვის თაობაზე“

აუდიტორიას და არა რომელიმე სუბიექტის მოსაზრების სახით. დადასტურებული ფაქტის მოსაზრების სახით მიწოდებამ, შესაძლოა, შექმნას არასწორი წარმოდგენები, მოახდინოს ფაქტის ნიველირება და შეცდომაში შეიყვანოს აუდიტორია.

6.6. ახალი ამბებისა და საინფორმაციო პროგრამებში პოლიტიკოსის მონაწილეობის აკრძალვა

როგორც აღინიშნა, ახალი ამბების პროგრამის მიმართ განსაკუთრებით მაღალია აუდიტორიის ნდობის საჭიროება. აუდიტორიას უნდა ჰქონდეს ნდობა, რომ მაუწყებლის ეთერში ახალი ამბები გადაიცემა მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით. როგორც წესი, პოლიტიკოსები (პოლიტიკური თანამდებობის პირები და პოლიტიკური პარტიის წევრები) წარმოადგენენ კონკრეტულ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც აქვს თავისი პოლიტიკური იდეოლოგია, ხედვა და პოზიციონირება. შესაბამისად, პოლიტიკოსები აუდიტორიისგან აღიქმებიან, როგორც პირები, რომლებსაც აქვთ იმანენტური ინტერესი, წარმოაჩინონ კონკრეტული პარტიული შეხედულება ამა თუ იმ საგნობრივ საკითხზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სისტემურად არ არის თავსებადი ცალკეული კატეგორიის პროგრამებში პოლიტიკოსების მონაწილეობა წამყვანის, ინტერვიუერის და ჟურნალისტის სახით. აქედან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტი ზღუდავს ახალი ამბებისა და საინფორმაციო პროგრამაში პოლიტიკური თანამდებობის პირის და პოლიტიკური პარტიის წევრის მონაწილეობას წამყვანის, ინტერვიუერის ან ჟურნალისტის სახით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოიცავს პოლიტიკური თანამდებობის პირის დეფინიციას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი „პოლიტიკური თანამდებობის პირი“ მოიაზრებს პირებს, რომლებიც იკავებენ შემდეგ თანამდებობებს - პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი, პრემიერ-მინისტრი, მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები, სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე.

შეზღუდვა ვრცელდება ახალი ამბებისა და „საინფორმაციო“ პროგრამებზე. საინფორმაციო პროგრამაში მოიაზრება ნებისმიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა, რომლითაც რაიმე ფორმით ახალი ამბების მიწოდება ხდება. შესაბამისად, შესაძლებელია, პროგრამა თავისი შინაარსით, ფორმატით და დანიშნულებით არ იქნეს მიჩნეული ახალი ამბების პროგრამად წინამდებარე გზამკვლევით გათვალისწინებული სტანდარტების მიხედვით, თუმცა თუ მასში რაიმე ფორმით ხდება ახალი ამბების მიწოდება (მაგალითად - საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის კონტექსტისთვის) იგი მიიჩნევა საინფორმაციო პროგრამად და მასზე გავრცელდება პოლიტიკური თანამდებობის პირთან დაკავშირებული შეზღუდვა. ამასთან, შეზღუდვა შეეხება „წამყვანის, ინტერვიუერის ან ჟურნალისტის“ სახით მონაწილეობას. შესაბამისად, იზღუდება ახალი ამბების პროგრამასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამების იმ ნაწილში, რომლებშიც რაიმე ფორმით ახალი ამბების მიწოდება ხდება პოლიტიკოსის მიერ ნებისმიერი ჟურნალისტური ფუნქციის შესრულება. აღსანიშნავია, რომ კანონი არ ზღუდავს პოლიტიკოსის წამყვანობას სხვა ტიპის პროგრამებში, რომლებიც საზოგადოებას რაიმე ფორმით არ აწვდის ახალ ამბებს. ამასთანავე, ასეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებზე სრულად ვრცელდება ჯეროვანი სიზუსტისა და მიუკერძოებლობის პრინციპები. მნიშვნელოვანია

მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ პოლიტიკოსის წამყვანის სახით მონაწილეობამ არ დაარღვიოს მიუკერძოებლობის პრინციპის მოთხოვნები, დაცული იყოს ბალანსი და ყველა საგულისხმო მოსაზრება დისკრიმინაციის გარეშე იყოს წარმოდგენილი.

7. სამართლიანობის პრინციპი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს სამართლიანობის პრინციპს და მაუწყებელს უწესებს ვალდებულებას, რომ სამართლიანად მოეპყროს პროგრამის მონაწილეებს. ჯეროვანი სიზუსტისა და მიუკერძოებლობის პრინციპი უმეტესწილად აუდიტორიის უფლებების დაცვას ემსახურება და უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის ზუსტი და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას. თავის მხრივ, სამართლიანობის პრინციპი უფრო მეტად მოწოდებულია იმ სუბიექტების უფლებების დაცვაზე, რომლებიც რაიმე ფორმით მონაწილეობენ პროგრამაში: მოხსენიებული არიან, ასახულია მათი ხმა, გამოსახულება, სახელწოდება, ბრენდული დასახელება და ა.შ. პროგრამის მონაწილეების უფლებების დაცვა და მათ მიმართ სამართლიანი მოპყრობა პასუხისმგებლიანი და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მედიის ფუნქციონირების ქვაკუთხედია. მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იგი, ერთი მხრივ, სარგებლობს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებით, თუმცა, მეორე მხრივ, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში შებოჭილია სხვა სუბიექტების ფუნდამენტური უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით. დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა სხვა პირთა უფლებების დარღვევის ხარჯზე.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია ჯეროვანი სამართლიანობისა და პატივისცემის დაცვით მოეპყრას პროგრამაში მონაწილე თითოეულ პირს. ჯეროვანი სამართლიანობა ფართო კონცეფციაა და გულისხმობს მაუწყებლის ვალდებულებას, პატივი სცეს პროგრამაში მონაწილე სუბიექტის ძირითად უფლებებს, კანონიერ ინტერესებს და გაუმართლებლად არ შეზღუდოს ისინი. ჯეროვანი სამართლიანობის პრინციპის ამომწურავი განმარტება და მისი დარღვევის ყველა შესაძლო მაგალითის მოყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია. კომისია შეეცდება წინამდებარე დოკუმენტში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და კანონმდებლობის შინაარსის მიხედვით ჩამოაყალიბოს ის კრიტერიუმები და საილუსტრაციო შემთხვევები, რომლებიც შეეხება ჯეროვანი სამართლიანობის პრინციპს.

სამართლიანობის პრინციპის საკითხები გარკვეულწილად მოწესრიგებულია კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“.[21] შესაბამისად, აღნიშნული პრინციპის განმარტებისას კომისია მხედველობაში მიიღებს მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილ წესებს. მნიშვნელოვანია, მაუწყებლებმა ყურადღება გაამახვილონ იმ გარემოებაზე, რომ მიუკერძოებლობის პრინციპი ექცევა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტის რეგულირების ფარგლებში და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59[1] მუხლის გათვალისწინებით კომისია უფლებამოსილია განახორციელოს სამართლებრივი რეაგირება მის დარღვევაზე.

7.1. საკანონმდებლო რეგულირება

[21] იხ. მაგალითად, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-20 მუხლი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი, მე-7 და მე-8 პუნქტები:

მუხლი 54. სამართლიანობა და მიუკერძოებლობა

1. ახალი ამბების გადაცემისას მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა.

...

7. მაუწყებელი ვალდებულია ჯეროვანი სამართლიანობისა და პატივისცემის დაცვით მოეპყრას პროგრამაში მონაწილე თითოეულ პირს.

8. პირს, რომლის მიმართ პროგრამაში ბრალდებები გამოითქვა, უნდა მიეცეს დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება.

7.2. ინფორმირებული თანხმობა პროგრამაში მონაწილეობაზე

სამართლიანობის პრინციპის ერთ-ერთი კომპონენტია პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმირებული თანხმობის აღება. როგორც წესი, მაუწყებელმა უნდა აიღოს ინფორმირებული თანხმობა იმ სუბიექტისგან, რომელიც მონაწილეობს პროგრამაში. პროგრამაში მონაწილეობის შესახებ (გარდა შემთხვევისა, თუ განხილვის საგანი ტრივიალურია და მონაწილის მნიშვნელობა მინიმალური) მიწვევისას მაუწყებელმა პოტენციურ მონაწილეს სათანადო დროს უნდა აცნობოს:

ა) პროგრამის თემატიკა, არსი, მიზანი და მიწვევის მიზეზები, როდის (თუ ცნობილია) და სად გადაიცემა იგი პირველად;

ბ) პროგრამაში მონაწილეობის ფორმა (პირდაპირი ჩართვა, ჩანაწერი, დისკუსია, რედაქტირებული, არარედაქტირებული და ა.შ);

გ) სავარაუდო კითხვები და სხვა სავარაუდო სტუმრების ვინაობა;

დ) მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მონაწილის პირველად თანხმობაზე და გამოიწვიოს არსებითი უსამართლობა - მაგალითად, მნიშვნელოვან ცვლილებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პროგრამის დასახელების, ეთერში განთავსების დროის, სხვა მონაწილეების ან რედაქტირების შესახებ გადაწყვეტილების ცვლილება;

ე) ინფორმაცია პროგრამის დამამზადებელსა და მაუწყებელს შორის ურთიერთობის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ (როდესაც ეს რელევანტურია);

ვ) მიეცემა თუ არა პროგრამის წინასწარი ნახვის შესაძლებლობა, რამდენად ექნება მასში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის უფლება;

ზ) პოტენციური რისკები, რაც შესაძლებელია მისთვის გამოიწვიოს პროგრამაში მონაწილეობამ (რამდენადაც ეს გონივრულად განჭვრეტადია) და ის ნაბიჯები, რომლებსაც მაუწყებელი/პროგრამის დამამზადებელი გასწევს ამ რისკების შესამცირებლად.

ინფორმირებული თანხმობის შესახებ დავის კონტექსტში სასარგებლო იქნება მაუწყებლებისთვის, რომ შეინახონ თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში მარტივად შეძლონ დადასტურება.

მაუწყებელს შეუძლია თავი შეიკავოს ზემოთ მითითებული ინფორმაციის მიწოდებისგან, თუ ეს ქმედება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით ან კანონმდებლობის საფუძველზე. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ მაუწყებელი ამზადებს ახალი ამბების სიუჟეტს, შესაძლებელია საზოგადოებრივი ინტერესით იყოს გამართლებული პროგრამის მონაწილისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა. ასევე, შეიძლება არსებობდეს სხვა შემთხვევებიც, მაგალითად, როდესაც ხდება უკანონობის ან სხვა მნიშვნელოვანი ბრალდების ჟურნალისტური გამოძიება. კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით შეაფასებს, არსებობს თუ არა ასეთი საგამონაკლისო შემთხვევა. გარდა ამისა, შესაძლებელია არსებობდეს შემთხვევებიც, როდესაც მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მაუწყებელი ვალდებული იყოს პროგრამის მონაწილეს მიაწოდოს დასახელებულზე მეტი ინფორმაცია.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაკუთრებულ წესებს ითვალისწინებს 18 წელს მიუღწეველი პირის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56^4 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, 18 წლამდე ასაკის პირის პროგრამაში მონაწილეობისთვის აუცილებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა. ამ შემთხვევაშიც მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა უნდა იყოს ინფორმირებული და მათაც უნდა მიეწოდოთ ზემოთდასახელებული ინფორმაცია არასრულწლოვნის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ.

კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც აუცილებელი არ არის თანხმობის მოპოვება 18 წლამდე ასაკის პირის პროგრამაში მონაწილეობისთვის. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56^4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, 18 წლამდე ასაკის პირის პროგრამაში მონაწილეობისთვის თანხმობა აუცილებელი არ არის, თუ პირის პროგრამაში მონაწილეობა უმნიშვნელოა ან თანხმობის გარეშე მოქმედება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით. მაგალითად, თანხმობის გარეშე მოქმედება, შესაძლებელია, გამართლებული იყოს მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი საუბრობს მშობლის, მეურვის ან მზრუნველის მხრიდან მისი უფლებების დარღვევაზე და ნაკლებად სავარაუდოა, რომ თანხმობა გაიცემა.

თანხმობის გაცემასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებელს ეკისრება არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა პროგრამის შინაარსთან და არასრულწლოვნის მონაწილეობასთან დაკავშირებით. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, თანხმობის მიუხედავად, 18 წლამდე ასაკის პირებს არ მოეთხოვებათ ისეთ საკითხზე მოსაზრების გამოხატვა, რომელზეც სათანადო პასუხის გაცემა მათ ფიზიკურ ან გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება.

ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირთან მიმართებით, რომელთაც არ შესწევთ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ თანხმობის გაცხადების უნარი. ასეთ შემთხვევაში პროცესში უნდა ჩაერთოს მხარდამჭერი პირი.

ჯეროვანი სამართლიანობის პრინციპის მოთხოვნაა, რომ მაუწყებელმა დაიცვას მონაწილისათვის მიცემული პირობა გადაცემის შინაარსთან, კონფიდენციალობის ან ანონიმურობის დაცვასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი მოქმედება გამართლებულია პატივსადები ინტერესით. შესაძლებელია პრობლემები წარმოიშვას მაშინ, როდესაც ნათლად არ არის განმარტებული რა საკითხზე თანხმდებიან მაუწყებელი და პროგრამის მონაწილე. მაგალითად, თუ პროგრამის მონაწილეს სურს მისი ვინაობის დაცვა და მაუწყებელი თანხმდება ვინაობის დასაცავად ღონისძიებების

მიღებას, მნიშვნელოვანია, მაუწყებელმა სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს იმის შესახებ, თუ როგორ დაიცავს მისი ვინაობის კონფიდენციალურობას. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, საკმარისი იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ მაუწყებელმა პირი სახელობით არ მოიხსენიოს (გამოტოვოს მისი სახელი და გვარი) თუმცა, შესაძლებელია არსებობდეს უფრო სენსიტიური შემთხვევები, როდესაც ასევე შეიძლება საჭირო გახდეს იმის უზრუნველყოფა, რომ პირი არ იყოს იდენტიფიცირებადი სხვა პირების, მათ შორის, მისი მეგობრების ან ოჯახის წევრების მიერ (მაგალითად, არ გადაიცეს ისეთი გარემოება, რომელიც შესაძლებელს გახდის მის იდენტიფიცირებას).

7.3. სამართლიანობის პრინციპის მოთხოვნები მასალის რედაქტირებასთან და ხელახლა გამოყენებასთან დაკავშირებით

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ჯეროვანი სამართლიანობის პრინციპი ასევე დაცული უნდა იყოს პროგრამის რედაქტირების პროცესში. პროგრამის რედაქტირებისას მონაწილეები სათანადოდ უნდა იქნენ წარმოჩენილნი და პროგრამა ისე არ უნდა შესწორდეს, რომ დამახინჯდეს პროგრამაში მონაწილეობა, შექმნას არასწორი შთაბეჭდილება მონაწილე სუბიექტის შესახებ.

სამართლიანობის პრინციპი ასევე ვრცელდება მასალის ხელახლა გამოყენების შემთხვევებზეც. მაგალითად, თუ პროგრამა ეთერში განთავსდა მასში მონაწილე სუბიექტის ინფორმირებული თანხმობით და სამართლიანობის პრინციპის დაცვით, ეს არ ნიშნავს, რომ ამ პროგრამის ყველა მომდევნო განთავსებისასაც თავისთავად იქნება დაცული სამართლიანობის პრინციპი. მაუწყებელი უნდა დარწმუნდეს, რომ საკუთარი ან სხვისგან მოპოვებული მასალის თავდაპირველისგან განსხვავებული მიზნით ან სხვა პროგრამაში გამოყენება არ გამოიწვევს პროგრამის მონაწილის მიმართ უსამართლო მოპყრობას. მაგალითად, თუ მასალა განსხვავებული მიზნით გამოიყენება, შესაძლებელია, ხელახლა იყოს საჭირო მონაწილის ინფორმირებული თანხმობის მოპოვება, თუ განსხვავებული მიზნით გამოყენება მისი უფლებების შეზღუდვის განსხვავებულ რისკებს შეიცავს.

7.4. პროგრამაში გამოთქმულ ბრალდებებზე პასუხის გაცემის უფლება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-8 პუნქტი ადგენს სამართლიანობის პრინციპის კიდევ ერთ მოთხოვნას - პირს, რომლის მიმართ პროგრამაში ბრალდებები გამოითქვა, უნდა მიეცეს დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება. პასუხის გაცემის უფლება წარმოიშობა სუბიექტის (ფიზიკური ან იურიდიული პირი) შესახებ ნებისმიერი ბრალდების ეთერში გამოთქმის შემთხვევაში. შესაძლებელია ეს ბრალდება უკავშირდებოდეს პირის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის, უკანონო ან ამორალური ქმედების ჩადენას. ასეთ შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია პროგრამის ეთერში განთავსებამდე დაუკავშირდეს პირს და მისცეს გონივრული და ადეკვატური შესაძლებლობა, რომ იმავე პროგრამაში უპასუხოს გამოთქმულ ბრალდებას. კერძოდ, პირს დეტალურად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მის შესახებ არსებული ბრალდების შინაარსის შესახებ და მიეცეს გონივრული ვადა პასუხის წარმოსადგენად. პასუხის გაცემის უფლების რეალიზაციად ვერ მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც მაუწყებელი ურეკავს პირს, ზეპირად აცნობს მის შესახებ ბრალდებას და იმავე მომენტში სთავაზობს პასუხის გაცემას. მაუწყებელი უფლებამოსილია გადაუხვიოს ამ მოთხოვნიდან, თუ ეს გამართლებულია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესით.

პირის პასუხი მაუწყებელმა პროგრამაში უნდა ასახოს სამართლიანად და ზუსტად. იმ შემთხვევაში თუ პირი უარს იტყვის პასუხზე ამის შესახებ ნათლად უნდა განიმარტოს პროგრამაში. გარდა ამისა, თუ პირმა წარმოადგინა არგუმენტაცია თუ რატომ ამბობს უარს პასუხზე, ეს არგუმენტაციაც ასევე სამართლიანად და ზუსტად უნდა იყოს გადმოცემული პროგრამაში.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხის გაცემის უფლება და ამავე კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხის უფლება განსხვავებულ საკითხებს შეეხება. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხის გაცემის უფლება სამართლიანობის პრინციპის ნაწილია და მოიცავს პირის უფლებას, რომ მაუწყებელმა შესაძლებლობა მისცეს იმავე პროგრამაში გასცეს პასუხი მის შესახებ არსებულ ბრალდებას, ხოლო 52-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხის უფლება უფრო მეტად სიზუსტესთან არის დაკავშირებული და პირს აღჭურავს შესაძლებლობით *post factum* პროგრამის ეთერში გასვლის შემდგომ გამოიყენოს მაუწყებლის ეთერი და უარყოს მის შესახებ ეთერში განთავსებული არასწორი (მცდარი) ფაქტი.

8. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[1] მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია მაუწყებლის მიერ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით გარანტირებულია ყველა ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება. მაუწყებელი ვალდებულია, პატივი სცეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონტექსტში მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმური მოლოდინი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმური მოლოდინი განსხვავდება ადგილის, ინფორმაციის ბუნების, ქმედებისა და გარემოებების, რა დოზით არის ინფორმაცია საჯარო სივრციდან აღებული. როგორც წესი, საჯარო სივრცეში დაბალია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი. თუმცა, შესაძლებელია, არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ადამიანს ჰქონდეს პირადი ცხოვრების დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი საჯარო სივრცეშიც. შესაძლებელია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვად იქნეს მიჩნეული ზოგიერთი ისეთი გარემოების ან ქმედების გადაღება და გადაცემა, რომელიც საჯარო სივრცეშია, თუმცა თავისი არსით პირად ცხოვრებას განეკუთვნება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით არის დაცული ინფორმაცია პირის საცხოვრებელი ადგილის, ტელეფონის ან/და სხვა პირადი საკონტაქტო მონაცემების შესახებ. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას.

კანონით ასევე დადგენილია, რომ საჯარო სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის დაბალი ლეგიტიმური მოლოდინის გამო დაბალია დაცვის სტანდარტიც. კერძოდ, საჯარო ადგილებში მაუწყებელს შეუძლია წინასწარი გაფრთხილების გარეშე აიღოს ინტერვიუ, გადაიღოს ან/და ჩაწეროს ადამიანები საინფორმაციო პროგრამებისთვის. თუმცა, ეთერში გადაცემამდე მაუწყებელი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ საჯარო თავშეყრის ადგილას გადაღებული კადრი, სიტყვა ან ქმედება

არ არის პირადი ცხოვრების ისეთი ელემენტების მატარებელი, რომ საჭიროებდეს პირის წინასწარ თანხმობას.

8.1. საკანონმდებლო რეგულირება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[1] და 54[2] მუხლები:

მუხლი 54[1]. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

1. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა.

2. მაუწყებლის მიერ ადამიანის პირად ცხოვრებაში ან/და იურიდიული პირის საქმიანობაში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიზნად ისახავს საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, არის ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.

3. საჯარო ან კერძო დაწესებულების ტერიტორიაზე ვიდეოაუდიოჩანაწერის მომზადებისას აუცილებელია შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი პირის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მასალის უნებართვოდ მომზადება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით. ნებართვის აღება არ არის სავალდებულო იმ პირისგან, რომელიც შემთხვევით მოხვდა ჩაწერილ მასალაში, ან თუ მისი ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირება შეუძლებელია.

4. სასწავლო დაწესებულებაში, საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, პოლიციის განყოფილებაში ან სასწრაფო დახმარების მანქანაში სიუჟეტის მოსამზადებლად სავალდებულოა თანხმობის მიღება როგორც უფლებამოსილი პირისგან, ასევე ადგილზე მყოფი იმ პირებისგან, რომელთა გადაღება ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მასალის უნებართვოდ მომზადება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით. ნებართვის აღება არ არის სავალდებულო, თუ ჩაწერილ მასალაში პირის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირება შეუძლებელია.

5. ინფორმაცია პირის საცხოვრებელი ადგილის, ტელეფონის ან/და სხვა პირადი საკონტაქტო მონაცემების შესახებ შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას.

6. საჯარო ადგილებში მაუწყებელს შეუძლია წინასწარი გაფრთხილების გარეშე აიღოს ინტერვიუ, გადაიღოს ან/და ჩაწეროს ადამიანები საინფორმაციო პროგრამებისთვის.

7. ეთერში გადაცემამდე მაუწყებელი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ საჯარო თავშეყრის ადგილას გადაღებული კადრი, სიტყვა ან ქმედება არ არის პირადი ცხოვრების ისეთი ელემენტების მატარებელი, რომ საჭიროებდეს პირის წინასწარ თანხმობას.

8. მაუწყებელმა არ უნდა გადაიღოს ან გაავრცელოს მასალა, რომელშიც ასახულია უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული ან პირადი ტრაგედიის მქონე პირები, მათ შორის, არც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოპოვებული მასალა, თუკი ეს იწვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სათანადო პირის თანხმობა. მაუწყებელი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. მაუწყებლის მიერ დაუშვებელია დაზარალებულის, გვამის ან დასახიჩრებული სხეულის, სისხლისა და სხვა, მსგავსი სცენების ჩვენება მნიშვნელოვანი სარედაქციო დასაბუთების გარეშე. მათი გადაღება უნდა

მოხდეს მხოლოდ გარკვეული მანძილიდან, რათა შეუძლებელი იყოს დაზარალებულის იდენტიფიცირება.

9. დაუშვებელია გარდაცვლილი პირის, უბედური შემთხვევისას დაზარალებულის ან ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება, სანამ ფაქტი ოჯახის წევრებისთვის არ გახდება ცნობილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი ინფორმაციის გავრცელება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით.

10. მაუწყებელმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა მის მიერ საკუთარი ან სხვისგან მოპოვებული მასალის თავდაპირველისგან განსხვავებული მიზნით ან სხვა პროგრამაში გამოყენებამ არ გამოიწვიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გაუმართლებელი ხელყოფა.

მუხლი 54[2]. მაუწყებლის მიერ ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება ან/და გადაცემა

1. მაუწყებლის მიერ ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება ან/და გადაცემა გამართლებულია შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც მოვლენა საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ახალი მტკიცებულებები იქნება მოპოვებული, და, ამასთანავე, ეს აუცილებელია პროგრამის სიზუსტის უზრუნველსაყოფად;

ბ) საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხებზე სოციოლოგიური კვლევის ჩასატარებლად, როდესაც სხვა გზით შეუძლებელია იმ დამოკიდებულებისა თუ შეხედულების გამოვლენა, რომელიც კვლევის საგანია;

გ) კომედიური და გასართობი პროგრამების მოსამზადებლად, სადაც ფარული ჩაწერა ერთ-ერთი ჩვეული მეთოდია, არ წარმოადგენს პირის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას და არ იწვევს მნიშვნელოვან გაღიზიანებას, დაძაბულობას ან უხერხულობას. გასართობ და კომედიურ პროგრამებში ფარული მეთოდებით მოპოვებული მასალა ჩაწერილი პირის/პირების თანხმობის გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული. თანხმობა არ არის საჭირო, თუ შეუძლებელია ასეთ მასალაში აღბეჭდილი პირის/პირების იდენტიფიცირება.

2. კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მაუწყებლის მიერ ფარული ჩაწერა უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესით, მათ შორის, საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას, რომ აღმოჩენილი იქნება დანაშაულის მტკიცებულება.

3. ფარული მეთოდებით მასალის გადაღებად ან ჩაწერად ჩაითვლება ჩამწერი აპარატურის ან ჩართული ვიდეოკამერის გამოყენება ან დატოვება კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მობინადრის ან მისი წარმომადგენლის სრული და ინფორმირებული თანხმობის გარეშე. აღნიშნული მეთოდების რიცხვს შესაძლოა ასევე განეკუთვნებოდეს სატელეფონო საუბრის ჩაწერა რესპონდენტის ინფორმირების გარეშე ან ჩაწერის განგებ გაგრძელება, როდესაც მეორე მხარე ფიქრობს, რომ პროცესი უკვე დასრულებულია.

4. ფარული მეთოდებით გადაღებული ან ჩაწერილი მასალის ეთერში გაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მოქმედება გამართლებულია. ფარული ჩანაწერის რედაქტირების შედეგად მომხდარი ფაქტი ზუსტად და სამართლიანად უნდა აისახოს პროგრამაში.

5. მაუწყებელს მეორე მხარესთან სატელეფონო საუბრის ჩაწერის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ სატელეფონო საუბრის ჩაწერამდე რესპონდენტს თავი წარუდგინა, განუმარტა ზარის მიზანი და აუხსნა, რომ ზარი იწერება და შესაძლოა გამოქვეყნდეს. იმ შემთხვევაში, თუ ზარის განხორციელებისას

მაუწყებლისთვის არ იყო ცნობილი საუბრის შესაძლო გამოქვეყნების შესახებ, მაუწყებელმა რესპონდენტისგან მასალის გაშვებამდე თანხმობა უნდა მიიღოს, თუ სხვაგვარად მოქმედება გამართლებული არ არის.

6. დაუშვებელია ეთერში განთავსების მიზნით ინტერვიუს ან სატელეფონო საუბრის ჩაწერა წინასწარი გაფრთხილების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ ღიად ჩაწერა ხელს შეუშლის ჟურნალისტური გამოძიების მიმდინარეობას (ეს წესი არ მოქმედებს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას).

8.2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის სტანდარტი - საზოგადოების კანონიერი ინტერესი და თანაზომიერების პრინციპი

მაუწყებელს ეკრძალება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა, რაც იმას ნიშნავს, რომ მაუწყებელს უფლება აქვს შეზღუდოს, ჩაერიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში და პირის თანხმობის გარეშე გადაიღოს და გაავრცელოს მის პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაცია, თუ არსებობს შესაბამისი გამართლება. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[1] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მაუწყებლის მიერ ადამიანის პირად ცხოვრებაში ან/და იურიდიული პირის საქმიანობაში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიზნად ისახავს საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, არის ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.

დასახელებული საკანონმდებლო დებულების მიზნებისთვის საზოგადოების კანონიერ ინტერესად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ისეთი საზოგადოებრივი ინტერესები, როგორებიც არის დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან უკანონობის გამოვლენა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების დაცვა, პირების შესახებ გაკეთებული არასწორი ბრალდებების გამოკვლევა, ასევე ისეთი არაკომპეტენტურობის გამოვლენა, რაც საზოგადოებას ზიანს აყენებს.

გარდა საზოგადოების კანონიერი ინტერესისა, აუცილებელია მაუწყებლის მიერ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი. კერძოდ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა უნდა იყოს მაუწყებლის მიერ დასახელებული საზოგადოების კანონიერი ინტერესის მიღწევის გამოსადეგი საშუალება, უნდა იყოს აუცილებელი - ე.ი. არ უნდა არსებობდეს ხსენებული ინტერესის პირადი ცხოვრების უფლების ნაკლებად მზღუდავი საშუალებით მიღწევის გონივრული შესაძლებლობა და საზოგადოების კანონიერი დაცვის ინტერესი უნდა გადაწონიდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ინტერესს. სწორედ ამ ტესტით უნდა იხელმძღვანელოს მაუწყებელმა და კომისიამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ კრიტერიუმებით შეაფასებს ხელყო თუ არა მაუწყებელმა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის სტანდარტი, მათ შორის თანაზომიერების პრინციპი ასევე მოქმედებს მასალის ხელახლა გამოყენების შემთხვევებშიც. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[1] მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა მის მიერ საკუთარი ან სხვისგან მოპოვებული მასალის თავდაპირველისგან განსხვავებული მიზნით ან სხვა პროგრამაში გამოყენებამ არ გამოიწვიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გაუმართლებელი ხელყოფა. შესაძლებელია, თავდაპირველად პროგრამაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემცველი ინფორმაციის გამოყენება გამართლებული იყოს საზოგადოებრივი ინტერესით, თუმცა ასეთი გამართლება არ არსებობდეს მის ხელახლა,

განსხვავებული მიზნით გამოყენებისას. მაგალითად, თუ კონკრეტულ შემთხვევაში პირადი ცხოვრების შემცველი მონაცემის გამოყენება დასაშვებია ახალი ამბების პროგრამაში, დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს იგივე მონაცემის ხელახლა გამოყენების ლეგიტიმურობა გასართობ პროგრამაში.

კანონი განსაკუთრებული სტანდარტით იცავს არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56[4] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს 18 წლამდე ასაკის პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. აღნიშნული საკანონმდებლო დებულებიდან გამომდინარე, 18 წლამდე ასაკის პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა უფრო მკაცრად შეფასდება და თანაზომიერების პრინციპის დაცვის დასაბუთებისას უფრო მეტად მოეთხოვება მაუწყებელს ჩარევის საჭიროების წარმოჩენა. არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის სტანდარტის დადგენისას კომისია ასევე მხედველობაში მიიღებს ქცევის კოდექსის დებულებას, რომლის მიხედვითაც, 18 წლამდე ასაკის პირები არ კარგავენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას მათი მშობლების პოპულარობის ან სკანდალური იმიჯის გამო.[22]

8.3. კერძო და საჯარო დაწესებულებების ტერიტორიაზე მასალის გადაღების/გადაცემის წესი

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს მაუწყებლის მიერ საჯარო და კერძო დაწესებულებების ტერიტორიაზე, მათ შორის, სასწავლო დაწესებულებაში, საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, პოლიციის განყოფილებაში ან სასწრაფო დახმარების მანქანაში ვიდეოაუდიოჩანაწერისა და სიუჟეტის მომზადების წესს.

ზოგადი წესის მიხედვით, დასახელებულ დაწესებულებებში/სასწრაფო დახმარების მანქანაში ვიდეოაუდიოჩანაწერის მომზადებისას აუცილებელია შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის და ადგილზე მყოფი იმ პირების თანხმობა, რომელთა გადაღებაც ხდება. ადგილზე მყოფი პირის თანხმობა არ მოითხოვება თუ იგი შემთხვევით მოხვდა ჩაწერილ მასალაში ან თუ მისი იდენტიფიცირება შეუძლებელია. საჯარო და კერძო დაწესებულების შემთხვევაში თანხმობის გაცემის უფლებამოსილება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს, სასწრაფო მანქანის შემთხვევაში კი იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომლის საკუთრებაშიც არის შესაბამისი სასწრაფო მანქანა.

როგორც დაწესებულების/სასწრაფო დახმარების მანქანის უფლებამოსილი პირის, ისე - ადგილზე მყოფი პირის თანხმობა არ მოითხოვება, თუ მასალის უნებართვოდ მომზადება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით. ასეთ შემთხვევაში დასაბუთებული უნდა იყოს, რომელი საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას ემსახურებოდა მასალის უნებართვოდ მომზადება და რომ დაცული იყო თანაზომიერების პრინციპი, როგორც ეს განმარტებულია წინამდებარე დოკუმენტის 7.1. ქვეთავში.

[22] მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 35-ე მუხლის 25-ე პუნქტი

8.4. უბედური შემთხვევით დაზარალებული პირების შესახებ მასალის გადაღებისა და გავრცელების წესი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული და პირად ტრაგედიაში მყოფი პირების დაცვას. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა არ უნდა გადაიღოს ან გაავრცელოს მასალა, რომელშიც ასახულია უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული ან პირადი ტრაგედიის მქონე პირები, მათ შორის, არც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოპოვებული მასალა, თუკი ეს იწვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სათანადო პირის თანხმობა.

ამრიგად, უბედური შემთხვევით დაზარალებული პირების დაცვის მოთხოვნა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც მასალა მოპოვებულია ღია სივრცეში. ამასთან, უბედური შემთხვევით დაზარალებული პირების ამსახველი მასალის გადაღება და გავრცელება აბსოლუტურად აკრძალული არ არის. კანონი ადგენს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, ეს დასაშვებია, თუ არსებობს შესაბამისი პირის თანხმობა. ამასთან, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების, ისე - სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, დაუშვებელია, მაუწყებელმა რაიმე ზეწოლა მოახდინოს დაზარალებულ პირზე, გასცეს თანხმობა, რომ მისი გამოსახულებით მასალა გადაიღოს ან გაავრცელოს, პროგრამაში მიიღოს მონაწილეობა ან ინტერვიუ მისცეს.

თანხმობის გარდა უბედური შემთხვევით დაზარალებული პირების ამსახველი მასალის გადაღება და გავრცელება აკრძალულია, თუ ეს იწვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფას. როგორც წინამდებარე გზამკვლევში აღინიშნა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა შესაძლებელია გამართლებული იყოს, თუ არსებობს შესაბამისი საზოგადოებრივი ინტერესი და დაცულია თანაზომიერების პრინციპი.[23] კანონი უბედური შემთხვევით დაზარალებული პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაზე საგანგებოდ მიუთითებს, რომ მაუწყებელი ამ საკითხს „განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს“. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით მკაცრი იქნება თანაზომიერების პრინციპი და მაღალი სტანდარტით უნდა დასაბუთდეს საზოგადოებრივი ინტერესის დასაცავად უბედური შემთხვევით დაზარალებული და ტრაგედიაში მყოფი პირების ამსახველი მასალის გადაღებისა და გავრცელების საჭიროება.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მაუწყებლის მიერ დაუშვებელია დაზარალებულის, გვამის ან დასახიჩრებული სხეულის, სისხლისა და სხვა, მსგავსი სცენების ჩვენება მნიშვნელოვანი სარედაქციო დასაბუთების გარეშე. კანონი დასახელებული სცენების ეთერში განთავსების მიმართ მნიშვნელოვან სარედაქციო დასაბუთებას მოითხოვს. დაუშვებელია მათი გავრცელება მხოლოდ სენსაციონიზმის, აუდიტორიის მოზიდვის მიზნით. მნიშვნელოვანი სარედაქციო დასაბუთება შესაძლებელია არსებობდეს უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც კონკრეტულ სცენაზე გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით არსებობს ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესი. ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის არსებობასთან ერთად სარედაქციო დასაბუთება მოითხოვს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნების დაცვასაც. გარდა ამისა, კანონი მოითხოვს, რომ დაზარალებულის, გვამის ან დასახიჩრებული სხეულის, სისხლისა და სხვა, მსგავსი სცენების გადაღება უნდა მოხდეს მხოლოდ გარკვეული მანძილიდან, რათა შეუძლებელი იყოს დაზარალებულის იდენტიფიცირება.

---

[23] იხ. წინამდებარე გზამკვლევის 7.1. ქვეთავი

მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს გარდაცვლილი პირის, უბედური შემთხვევის დაზარალებულის ან ძალადობის მსხვერპლთა ოჯახის წევრებს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[1] მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია გარდაცვლილი პირის, უბედური შემთხვევისას დაზარალებულის ან ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება, სანამ ფაქტი ოჯახის წევრებისთვის არ გახდება ცნობილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი ინფორმაციის გავრცელება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით. ამ შემთხვევაში პირის იდენტიფიცირებისას განსაკუთრებულად მკაცრი იქნება საზოგადოებრივი ინტერესით გამართლების ტესტი და მაუწყებელმა უნდა წარმოადგინოს წონადი არგუმენტაცია.

8.5. ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება ან/და გადაცემა

მაუწყებლის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა. შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი საკითხს საგანგებოდ აწესრიგებს.

ნიშანდობლივია, რომ კანონი განმარტავს რა მოიაზრება ფარული მეთოდებით მასალის გადაღებასა ან ჩაწერაში - „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[2] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ფარული მეთოდებით მასალის გადაღებად ან ჩაწერად ჩაითვლება ჩამწერი აპარატურის ან ჩართული ვიდეოკამერის გამოყენება ან დატოვება კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მობინადრის ან მისი წარმომადგენლის სრული და ინფორმირებული თანხმობის გარეშე. აღნიშნული მეთოდების რიცხვს შესაძლოა ასევე განეკუთვნებოდეს სატელეფონო საუბრის ჩაწერა რესპონდენტის ინფორმირების გარეშე ან ჩაწერის განგებ გაგრძელება, როდესაც მეორე მხარე ფიქრობს, რომ პროცესი უკვე დასრულებულია. აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე, შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტის გამოყოფა - გადაღება ხდება კერძო ან ისეთ სივრცეში სადაც არსებობს პირადი სივრცის დაცვის მოლოდინი და გადაღება ან ჩაწერა ხდება სუბიექტის ინფორმირებული თანხმობისა და გაცნობიერების გარეშე.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[2] მუხლი ადგენს ფარული მეთოდებით მასალის გადაღებისა და ჩაწერის ზოგად სტანდარტს და ადგენს საფუძვლებს, როდესაც მაუწყებელს აქვს ამის შესაძლებლობა:

ა) როდესაც მოვლენა საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ახალი მტკიცებულებები იქნება მოპოვებული, და, ამასთანავე, ეს აუცილებელია პროგრამის სიზუსტის უზრუნველსაყოფად;

ბ) საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხებზე სოციოლოგიური კვლევის ჩასატარებლად, როდესაც სხვა გზით შეუძლებელია იმ დამოკიდებულებისა თუ შეხედულების გამოვლენა, რომელიც კვლევის საგანია;

გ) კომედიური და გასართობი პროგრამების მოსამზადებლად, სადაც ფარული ჩაწერა ერთ-ერთი ჩვეული მეთოდია, არ წარმოადგენს პირის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას და არ იწვევს მნიშვნელოვან გაღიზიანებას, დაძაბულობას ან უხერხულობას. გასართობ და კომედიურ პროგრამებში ფარული მეთოდებით მოპოვებული მასალა ჩაწერილი პირის/პირების თანხმობის გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული. თანხმობა არ არის საჭირო, თუ შეუძლებელია ასეთ მასალაში აღბეჭდილი პირის/პირების იდენტიფიცირება.

დასახელებულ შემთხვევებში გამოყენებული ტერმინი საზოგადოებრივი ინტერესი განიმარტება გზამკვლევში მოცემული პრინციპებისა და კრიტერიუმების შესაბამისად და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის დაცვით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[2] მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მაუწყებლის მიერ ფარული ჩაწერა უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესით, მათ შორის, საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას, რომ აღმოჩენილი იქნება დანაშაულის მტკიცებულება. კერძო ტერიტორიაზე ფარული ჩაწერისთვისაც დადგენილია საზოგადოებრივი ინტერესით გამართლების სტანდარტი. ამასთან, კანონი ხაზს უსვამს, სტანდარტის სიმკაცრეს და საილუსტრაციოდ მიუთითებს ისეთ შემთხვევაზე, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ აღმოჩენილი იქნება დანაშაულის მტკიცებულება. დანაშაულის მტკიცებულება არ არის კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ფარული ჩაწერის გამამართლებელი ერთადერთი საფუძველი, თუმცა, სხვა შემთხვევებშიც მაუწყებელი ვალდებულია დაასაბუთოს ანალოგიური მნიშვნელობის საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[2] მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, ფარული მეთოდებით გადაღებული ან ჩაწერილი მასალის ეთერში გაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მოქმედება გამართლებულია. ამრიგად, მაუწყებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს არა მხოლოდ იმას, რომ საზოგადოებრივი ინტერესით იყოს გამართლებული ფარული მეთოდებით მასალის ჩაწერა ან გადაღება, არამედ - ცალკე უნდა შეაფასოს რამდენად არსებობს ამგვარი მეთოდებით მოპოვებული მასალის ეთერში განთავსების საფუძველი. კერძოდ, უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა მასალის ეთერში განთავსების საზოგადოებრივი ინტერესი და დაცულია თუ არა თანაზომიერების პრინციპი. ამავე პუნქტის მე-2 წინადადება ადგენს ფარული ჩანაწერის რედაქტირების პრინციპს და მიუთითებს, რომ ფარული ჩანაწერის რედაქტირების შედეგად მომხდარი ფაქტი ზუსტად და სამართლიანად უნდა აისახოს პროგრამაში. დაუშვებელია ფარული ჩანაწერის მანიპულაციურად რედაქტირება.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს სატელეფონო საუბრის ჩაწერის წესს და მიუთითებს, რომ მაუწყებელს მეორე მხარესთან საუბრის ჩაწერის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ სატელეფონო საუბრის ჩაწერამდე რესპონდენტს თავი წარუდგინა, განუმარტა ზარის მიზანი და აუხსნა, რომ ზარი იწერება და შესაძლოა გამოქვეყნდეს. ამასთან, შესაძლებელია, მაუწყებელი არ გეგმავდეს საუბრის ჩანაწერის გამოქვეყნებას და შესაბამისად, არც განუმარტოს მხარეს ამის შესაძლებლობის შესახებ. ასეთ შემთხვევებში თუ მაუწყებელი გადაწყვეტს მასალის გამოქვეყნებას უნდა აიღოს თანხმობა რესპოდენტისგან ან დაასაბუთოს მასალის გამოქვეყნების საზოგადოებრივი ინტერესით გამართლება.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[2] მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ეთერში განთავსების მიზნით ინტერვიუ ან სატელეფონო საუბრის ჩაწერა წინასწარი გაფრთხილების გარეშე დაიშვება მხოლოდ ორ შემთხვევაში - როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ ღიად ჩაწერა ხელს შეუშლის ჟურნალისტურ გამოძიებას ან როდესაც ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[2] მუხლის მე-6 პუნქტი იძლევა შესაძლებლობას, რომ ეთერში განთავსების მიზნით სატელეფონო საუბარი მაუწყებელმა წინასწარი გაფრთხილების გარეშე ჩაიწეროს, თუ არსებობს ზემოთდასახელებული გარემოებები. აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევებში ბუნებრივად ვერ იმოქმედებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54[2] მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება,

რომლის მიხედვითაც, მაუწყებელს ევალება სატელეფონო საუბრის ჩაწერამდე რესპონდენტს თავი წარუდგინოს, განუმარტოს ზარის მიზანი და აუხსნას, რომ ზარი იწერება და შესაძლოა გამოქვეყნდეს.

9. შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის ან/და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქების წესი

9.1. საკანონმდებლო რეგულირება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55^3 მუხლი:

მუხლი 55^3. შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის ან/და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქება

1. მაუწყებელმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გააშუქოს შეიარაღებული დაპირისპირება, უბედური შემთხვევა ან/და საგანგებო ვითარება, პატივი უნდა სცეს აუდიტორიის ემოციებს და დაიცვას ბალანსი საზოგადოებრივ ინტერესსა და პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის.

2. მაუწყებელმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ გახდეს ისეთი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გატაცებული, მძევლად აყვანილი, ალყაში მყოფი პირის სიცოცხლეს ან ამ პირის გათავისუფლებაზე მიმართულ ღონისძიებებს.

9.2. სტანდარტები

მაუწყებელს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს საგანგებო ვითარების გაშუქების კუთხით. ამა თუ იმ საგანგებო ვითარებისას, იქნება ეს შეიარაღებული დაპირისპირება, უბედური შემთხვევა, ბუნებრივი კატასტროფა თუ სხვა არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი, რომ საზოგადოებას ოპერატიულად მიეწოდოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია. საგანგებო ვითარების გაშუქებისას მნიშვნელოვანია მაუწყებელმა დაიცვას გონივრული ბალანსი, ერთი მხრივ, საზოგადოების ინფორმირების ლეგიტიმურ ინტერესსა და მეორე მხრივ, ადამიანების უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ინტერესებს შორის. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55^3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გააშუქოს შეიარაღებული დაპირისპირება, უბედური შემთხვევა ან/და საგანგებო ვითარება, პატივი უნდა სცეს აუდიტორიის ემოციებს და დაიცვას ბალანსი საზოგადოებრივ ინტერესსა და პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის.

მაუწყებელმა საგანგებო ვითარება არ უნდა გააშუქოს სენსაციონიზმით და რეიტინგის გაზრდის ინტერესით, უნდა გამოიჩინოს სათანადო სიფრთხილე და იმოქმედოს ზემოთდასახელებული ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, ჯეროვანი სიზუსტის სტანდარტები დამოკიდებულია, მათ შორის, გასაშუქებელი საკითხის სპეციფიკაზე. მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საგანგებო ვითარების გაშუქებისას განსაკუთრებით იზრდება საზოგადოების სწორად ინფორმირების საჭიროება და მაღალია ჯეროვანი სიზუსტის მოთხოვნები.

მაუწყებელს სიფრთხილე მართებს არა მხოლოდ ინფორმაციის ჯეროვანი სიზუსტის მიმართულებით, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ საგანგებო ვითარებაში მის მიერ გავრცელებულმა თუნდაც ზუსტმა ინფორმაციამ საფრთხე არ შეუქმნას ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს. ცალკეული საგანგებო ვითარებისას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შესაძლებელია, საჭირო გახდეს ამა თუ იმ ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავება. მაგალითად, თუ მიმდინარეობს მძევლად აყვანილი პირების გათავისუფლების ღონისძიება, მაუწყებლის მიერ ამ ოპერაციის კადრების პირდაპირ ეთერში განთავსებამ, შესაძლებელია, თავდამსხმელებისთვის ცნობილი გახადოს საპოლიციო ძალების გადაადგილება და ეჭვქვეშ დააყენოს ოპერაციის ეფექტურობა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55[3] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ გახდეს ისეთი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გატაცებული, მძევლად აყვანილი, ალყაში მყოფი პირის სიცოცხლეს ან ამ პირის გათავისუფლებაზე მიმართულ ღონისძიებებს.

10. მაუწყებლის პასუხისმგებლობა ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელებისთვის

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59[1] მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „მაუწყებელს ამ კანონის 52-ე, 54-ე–54[2], 55[2] და 55[3]–56[4] მუხლების მოთხოვნათა დარღვევისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება აგრეთვე მის მიერ მასობრივი ინფორმაციის ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილი ინტერნეტდომენის ან/და ინტერნეტჰოსტინგის საშუალებით, აგრეთვე თავის აპლიკაციაში ან მესამე პირის ინფორმაციის გაზიარების პლატფორმაზე (მათ შორის, სოციალურ ქსელში) ინფორმაციის განთავსების გამო“. აღნიშნული საკანონმდებლო დებულების თანახმად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შინაარსობრივი მოთხოვნები ასევე ვრცელდება მაუწყებლის სოციალურ მედიაში და ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე. შესაბამისად, წინამდებარე გზამკვლევით და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სტანდარტები მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე ან სოციალურ ქსელებში გავრცელებისას. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კანონი მიუთითებს „ნებისმიერ ინფორმაციაზე“, ეს მოთხოვნები შეეხება როგორც აუდიოვიზუალურ და აუდიო პროდუქციას, ისე ტექსტურ და გრაფიკულ მასალებს, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ე.წ. ქარდებს და ა.შ.

11. შინაარსობრივი მოთხოვნების აღსრულების წესი

როგორც აღინიშნა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2025 წლის 1 აპრილის კანონით (დოკუმენტის N394-IIმს-XIმპ) შესული ცვლილებებით ახლებურად მოწესრიგდა მაუწყებლობის შინაარსობრივი მოთხოვნების აღსრულების წესი და ამ გზამკვლევით გათვალისწინებული შინაარსობრივი მოთხოვნების აღსრულება აღარ იკეტება თვითრეგულირებით და აღსრულდება კომისიის მიერ. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59[1] მუხლის პირველი პუნქტის მოქმედი რედაქციის მიხედვით, ამ კანონის 59-ე მუხლის მოთხოვნების, აგრეთვე იმ ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევაზე რეაგირება, რომლებიც მხოლოდ ქცევის კოდექსით არის დადგენილი, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლით

განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. შესაბამისად, თვითრეგულირების ფარგლებში რეაგირებით იკეტება მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის[24] და მაუწყებელთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი საკითხების აღსრულება, რომლებიც მხოლოდ ქცევის კოდექსით არის დადგენილი. როგორც აღინიშნა, წინამდებარე გზამკვლევით გათვალისწინებული თითოეული შინაარსობრივი საკითხი რეგულირდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მათი აღსრულება მოხდება კომისიის მიერ.

ზოგადად, კომისიის მიერ კანონმდებლობის დარღვევაზე რეაგირება შესაძლებელია მოხდეს ორი გზით:

ა) დაინტერესებული პირის საჩივრის ფარგლებში.

ბ) საკუთარი ინიციატივით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, აგრეთვე სალიცენზიო პირობებისა და ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს კომისიას.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დაინტერესებული პირი განმარტებულია როგორც „ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მედიამომსახურების ან ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობა“. შესაბამისად, დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზეც გავლენას ახდენს მაუწყებლის მიერ შინაარსობრივი მოთხოვნის დარღვევა.

მაუწყებლის ეთერში პროგრამის განთავსებით შესაძლებელია დაირღვეს შემდეგი სუბიექტების უფლებები:

ა) პროგრამის მონაწილეების - პირის ან პირთა ჯგუფის, რომელსაც უშუალოდ მიემართება პროგრამა, რომელიც მოხსენიებული არიან პროგრამაში, რომელთა ხმა ან გამოსახულება არის გამოყენებული პროგრამაში, რომელთა სახელი, სახელწოდება ან ბრენდული დასახელებაა პროგრამაში მოხსენიებული და ა.შ.;

ბ) მაუწყებლის აუდიტორიის - დაინტერესებული შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც უყურებს/უსმენს მაუწყებელს. საზოგადოებას უფლება აქვს, წვდომა ჰქონდეს კანონმდებლობის შესაბამის მაუწყებლობაზე, რომლის მეშვეობითაც ინფორმირებული იქნება მიმდინარე მოვლენებისა და საჯარო მნიშვნელობის საკითხზე ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების შესახებ, რათა შეძლოს სრულყოფილი მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში. შესაბამისად, აუდიტორიის წევრებს უფლება აქვთ, მიმართონ კომისიას მაუწყებლის მიერ მათი ამ უფლების დარღვევის თაობაზე.

[24] საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე საერთო მაუწყებელი ვალდებული არიან, საუკეთესო დროს განათავსონ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და უზრუნველყონ აუდიტორიის დროული ინფორმირება მათი მომსახურების ზონაში, საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი დაინტერესებული პირის საკითხი გადაწყდება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შინაარსობრივი მოთხოვნის ბუნების გათვალისწინებით. მაგალითად, სამართლიანობის პრინციპის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და პასუხის უფლების კონტექსტში, უმეტესწილად, დაინტერესებული პირები არიან პროგრამის მონაწილეები. ჯეროვანი სიზუსტის და მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევისას, შესაძლებელია, საჩივრის წარდგენაზე დაინტერესებული იყოს აუდიტორიის ნებისმიერი წევრი, რომელიც მიიჩნევს, რომ მაუწყებელმა დაარღვია მისი უფლება, მიეღო დაბალანსებული და ზუსტი ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებისა და შეხედულებების შესახებ.

შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში, დაინტერესებული პირი უფლებამოსილი იყოს იდავოს, როგორც პროგრამის მონაწილემ, ისე - აუდიტორიის წევრმა. მაგალითად, თუ გავრცელდა არაზუსტი ინფორმაცია და ამით პირს რეპუტაცია შეელახა, იგი უფლებამოსილია იდავოს, როგროც რეპუტაციის შელახვის გამო, ისე იმის გამო, რომ მას, როგორც საზოგადოების წევრს მაუწყებელმა მიაწოდა არასწორი ინფორმაცია.

ამასთან, კომისია უფლებამოსილია თავად განახორციელოს მაუწყებლების პროგრამების მონიტორინგი და კომისიის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში თავად დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შესაბამისი მაუწყებლის მიმართ.